ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 14 მაისი, 2018 №112 (7657) ფასი: 50 თეთრი

**გია ხუხაშვილი: „ივანიშვილს არ უნდა, რომ სხვების გაფუჭებული საქმე მას დააბრალდეს“**



გვ.2

**3 მაისიდან**

**„50 ცნობილი ქართველი ქალის 300 რეცეპტი“**

წიგნი ა4 ფორმატისაა, აქვს მაგარი ყდა, დაბეჭდილია ცარცის ქაღალდზე და მთლიანად ფერადია.

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**





# დიდი არეულობა რუსთაველის გამზირზე



გვ.2

## აქციას პარლამენტთან კონტრაქცია დაუპირისპირდა

**კვირიკაშვილი: პოლიცია ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ თქვენ შეძლოთ თავისუფალი სიტყვის გამოხატვა. კატეგორიულად დაუშვებელია დაპირისპირება და საზოგადოების ორად გახლეჩა**







## „ეს რა უბედურება ხდება ჩვენს თავს, ეს რა ვნახე!“

გვ.4



„შსს-ს ჰქონდა ოპერატიული ინფორმაცია, ჩაატარა სპეცოპერაცია, აყვანილი არიან ნარკორეალიზატორები და ესენი რას აპროტესტებენ, ძალიან მაინტერესებს“



გვ.5

## ბიძინა გუჯაბიძე: „ხელისუფლების დადანაშაულება დიქტატურაში აბსურდია“



„პროტესტანტები ნაციონალებმა წააქეზეს“

**სამართალი** გვ.7

**შვილების საფლავებს ამოვთხრით! გიორგი ხაჭაპურიძისა და ზვიად სალთხუციშვილის ოჯახები პროკურატურას ულტიმატუმს უყენებენ**





**შინაგან საქმეთა სამინისტრომ 9 კილოგრამი ჰეროინი, 1 კილო და 200 გრამი კოკაინი და ბუპრენორფინის შემცველი 5.000 აბი ამოიღო**

გვ.7

**ეკონომიკა** გვ.6

**სერგი გვარჯალაძე: „დღეს ღამის ეკონომიკაზე საუბარი წარმოუდგენლად მიმაჩნია“**



**„ჯეომილი“: „საქართველოში მუშაობა გვიჭირს, რადგან კონკურენცია მაღალია“** გვ.6





გვ.5

**ზურაბ გვასალია: „შეზღუდვები ყოველთვის ახდენს გავლენას ეკონომიკურ განვითარებაზე“**

ISSN 1987-9385

**3** ზაალ კასრელიშვილი: „ბოკერიასა და ივანიშვილის თანამშრომლობა მოსალოდნელია“

**5** ვასიკო სილაგაძე: „ცხოვრებასთან გამოცხადებული ომი ჯერ არ წამიგია“

**8** ინდონეზიაში ეკლესიები ააფეთქეს

**7** სამართალდამცავთა მიერ ღამის კლუბებში რეიდები ყველა ქვეყანაში ტარდება

# დიდი არეულობა რუსთაველის გამზირზე

## აქციას პარლამენტთან კონტრაქცია დაუპირისპირდა

შორენა მარსაგიშვილი







რუსთაველის გამზირი კვლავ ცხელი წერტილი გახდა. ღამის კლუბებში „ბასიანსა“ და „გალერიში“ ჩატარებული სპეცოპერაციები ახალგაზრდების პროტესტის მიზეზი გახდა.

სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია ამბობს, რომ 8 ნარკორეალიზატორი რამდენიმე საათით ადრე დააკავეს, ვიდრე ღამის კლუბებში სპეცრაზმი შეიჭრებოდა. მისივე ინფორმაციით, დაკავება კლუბების გარეთ მოხდა.

კლუბური ცხოვრების მოყვარულმა ახალგაზრდებმა და საზოგადოების ნაწილმა აღნიშნული სპეცოპერაცია თავისუფლების შეზღუდვად შეაფასა. მათ სპეცოპერაციის ღამესვე დააანონსეს აქცია პარლამენტთან.

საზოგადოება პროტესტის გამოსახატავად 12 მაისს შეიკრიბა პარლამენტთან. აქციის მონაწილეების გარდა, რუსთაველის გამზირზე სპეცდანიშნულების რაზმი და საპატრულო პოლიცია განლაგდნენ. იქვე იყო წყლის ჭავლის მანქანები.

მიუხედავად იმისა, რომ სიტყვით გამომსვლელები მწვავე განცხადებებს აკეთებდნენ, აქციაზე შეხლა-შემოხლა არ მომხდარა.

აქციის მონაწილეებმა პრემიერისა და მთავრობის მეთაურის გადადგომა მოითხოვეს. მათ გახარიასა და კვირიკაშვილს ვადა 12 მაისის 22.00 საათამდე მისცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, პირობა დადეს, რომ 26 მაისამდე არ დაიშლებოდნენ და ხელისუფლებას დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებს არ ჩაატარებინებდნენ.

გაგიკვირდებათ, მაგრამ არც გახარიამ მოინდომა გადადგომა და არც კვირიკაშვილმა. აქციის მონაწილეებმა ისინი შეაჩვენეს და რუსთაველის გამზირზე 5 კარავი აღმართეს.

კარვების გარდა, აქციაზე ოპერატიულად გაჩნდა რამდენიმე ასეული საწვიმარი. ახალგაზრდები ამ საწვიმრებით ცდილობდნენ წვიმისგან თავის დაცვას.

ხელისუფლების ქმედებების გასაპროტესტებლად პარლამენტის წინ მათ ხმამაღლა ჩართეს ელექტრომუსიკა და ცეკვა დაიწყეს.

– ხელისუფლება ღამის კლუბებს გვიხურავს. ამიტომაც აქ გადმოვიტანთ ბასიანს და აქ ვიცეკვებთ, – აცხადებდნენ პროტესტანტი მოცეკვავეები.

აქციის მიმდინარეობისას ცნობილი გახდა, რომ მათ წინააღმდეგ კონტრაქცია იგეგმებოდა. უფლებადამცველმა გიორგი გაბედავამ, რომელიც სოსო პავლიაშვილის ნათლული და პროდიუსერია, 13 მაისს რუსთაველზე კონტრაქცია დააანონსა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ცოტა ხნის წინ გაბედავა მოსკოვში დაჭრეს.

ჭრილობამოშუშებული უფლებადამცველი 12 მაისის საღამოსვე მივიდა რუსთაველზე. სამართალდამცავებმა ის აქციის მონაწილეებამდე არ მიუშვეს.

აქციაზე გაბედავას გარეშეც მოხდა ინციდენტი. არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი 3 მამაკაცი ერთმანეთს დაერია. პოლიციამ ისინი დააკავა. აქციის ორგანიზატორებმა დაშლა გადაწყვიტეს.

მოძრაობა „თეთრი ხმაურის“ წევრმა ბექა წიქარიშვილმა განაცხადა, რომ ისინი აქციას დღის 3 საათისთვის განაახლებდნენ. ხალხი ისევ მივიდა აქციაზე. წინა დღისგან განსხვავებით, რუსთაველზე ბევრად ნაკლები ადამიანი გამოვიდა. მათ კარვებიც აღარ დახვდათ. ისინი პოლიციამ დაშალა.

აქციისთვის საგულდაგულოდ ემზადებოდნენ გაბედავა და მისი ხალხი. „თეთრ ხმაურს“ სხვა მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდნენ.

ნეონაცისტებმა საგანგებო განცხადება გააკეთეს და „შავპერანგიანი რაზმების“ შექმნა დააანონსეს. როგორც მოძრაობის ლიდერმა გიორგი ჭელიძემ განაცხადა, ესენია საკმაოდ მომზადებული რაზმები, რომლებსაც შეუძლიათ ნებისმიერ დაპირისპირებაში ჩართვა და სწორედ მათი მეშვეობით დაუპირისპირდებიან ისინი „თეთრი ხმაურის“ მოძრაობას.

– ჩვენ გვყავს ასეთი შემთხვევებისთვის გათვალისწინებული შავპერანგიანები. ესენია მომზადებული რაზმები, რომელთაც კანონის შესაბამისად შეუძლიათ ასეთ დაპირისპირებაში ჩართვა. ახლა ვინც არიან აქ მამაკაცები, ნამდვილი ქართველები, ვაჟკაცები, წინაპრების ტრადიციების ღირსეული გამგრძელებლები, ჩვენ ვიწყებთ რაზმების ჩამოყალიბებას და მზად ვართ, დავიცვათ ჩვენი ქვეყანა. ნარკომოვაჭრეები და ლგბტ პროპაგანდისტები დღის წეს-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# გია ხუხაშვილი: „ივანიშვილს არ უნდა, რომ სხვების გაფუჭებული საქმე მას დაჰბრალდეს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნების მიზეზებსა და ივანიშვილის გზავნილებზე საუბრობს.

***– ბატონო გია, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება მინდა შეაფასოთ. მან სამი მიზეზი დაასახელა, რატომაც დაბრუნდა პოლიტიკაში. თქვენ რა გზავნილები ამოიკითხეთ, რატომ ბრუნდება ის პოლიტიკაში?***

– ის სამი მიზეზი, რომლებიც დაასახელა, ლოგიკურია, რადგან ეს მიზეზები რეალურად არსებობს. თუმცა, სხვა მიზეზებიც არსებობს, შიდა თუ გარე ფაქტორებით გამოწვეული. რაც შეეხება დაბრუნების გადაწყვეტილებას, ფაქტია, რომ მძიმე და არაკომფორტული გადაწყვეტილება იყო. ეს აშკარად ეტყობოდა. „ქართულ ოცნებაში“ ის მის გარეშე ამ ყველაფრის გადაჭრის რესურსს ვერ ხედავს. ეს არის დადასტურება იმ პრობლემებისა, რომლებზეც საზოგადოება ლაპარაკობს. თუმცა, აქ ის თავის თავს ეწინააღმდეგება.

რადგან ის დაბრუნდა პოლიტიკაში, პირველი ეტაპი გაიარა. პირველ ეტაპში ვგულისხმობ შიდაპარტიული დაპირისპირების, კრიზისის გადალახვას. მეორე ეტაპი იქნება ინსტიტუციური წესრიგის აღდგენა. მესამე ეტაპი კი მმართველობითი სისტემის კრიზისის გადალახვაა, რომელიც გულისხმობს ხელისუფლების სერიოზულ რეფორმირებას. მეოთხე ეტაპი საკუთრივ სახელმწიფოებრივი პრობლემების გადაწყვეტაა. აი, ეს ამოცანები დგას ივანიშვილის წინაშე.

***– ამას პარტიის თავმჯდომარის პოზიციიდან შეძლებს?***

– ამბობენ, რომ ჩრდილიდანაც ახერხებდა და, იქიდან თუ ახერხებდა, პარტიის თავმჯდომარეობიდან უფრო შეძლებს. გასაგებია, რომ ქვეყნის მართვაში, მენეჯმენტში უშუალოდ არ იქნება ამ პოზიციით ჩართული, მაგრამ, ვინაიდან მმართველ პარტიაზეა საუბარი და ქვეყანას ის ადამიანები მართავენ, რომლებიც პარტიის წევრები არიან და პარტია განსაზღვრავს სტრატეგიას, მას ამის საშუალება ექნება.



მე ვისურვებდი, რომ მას ბარემ ხალხის მანდატიც მიეღო, ხალხს ნდობა დაედასტურებინა და საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭი ეყარა. თუმცა, როგორც ჩანს, ეს არ უნდა.

***– ჟურნალისტს უთხრა, რომ პრეზიდენტობის კანდიდატი არ იქნება.***

– როგორც ჩანს, გადაწყვეტილი აქვს, არ იყაროს კენჭი.

***– ბატონო გია, მან თქვა, რომ ავანტიურისტული ჯგუფები დესტრუქციული მეთოდებით იბრძვიან ძალაუფლებისთვის. რამე ინფორმაცია აქვს მას თუ ეს მხოლოდ დაკვირვების შედეგად გაკეთებული განცხადებაა?***

– ავანტიურისტულ ჯგუფებში ის სააკაშვილს გულისხმობს. სხვებს, წესით, არ უნდა გულისხმობდეს. ვისაც პულსი ესინჯება, მეტნაკლებად სწორედ ნაციონალური მოძრაობაა და ალბათ სააკაშვილი ჰყავდა მხედველობაში.

***– სააკაშვილი, რომელიც ვერ შემოდის ქვეყანაში, გარედან შეძლებს რამეს?***

– ვერც გარედან შეძლებს და ვერც შიგნიდან, რომც შემოვიდეს, მაგრამ ეს არის ე.წ. შულერული მოდელი. სააკაშვილის ფაქტორი პოლიტიკურ პროცესში, საარჩევნო პროცესში „ქართულ ოცნებასაც“ აწყობს. როგორც წესი, ამ დროს შუას გაკრეფა ხდება და ორი ძალა რჩება ასპარეზზე – ერთ პოლუსზე მტრად შერაცხული, რომელიც ერთიანი ძალებით უნდა დამარცხდეს.

***– ამ მოდელმა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე იმუშავა, მაგრამ კიდევ იმუშავებს?***

– დიახ, სააკაშვილის ამ პოლუსზე პოზიციონირება აწყობს ხელისუფლებას, ამიტომ ხდება მისი მუდმივი აქტუალიზაცია. ეს არის თამაში, რომლითაც ორივე თავის ამოცანას ასრულებს: „ქართული ოცნება“ ძალაუფლებას ინარჩუნებს, ნაციონალური მოძრაობა – მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსს. ამ თამაშის ნაწილია ეს ყველაფერი.

***– ისე, ივანიშვილის რიტორიკაში იყო რამე ცვლილება?***

– არა, ის სტილს არ ღალატობს. მედიაზე, საექსპერტო წრეებზე, ოპოზიციაზე შეტევა მისი ჩვეული სტილია.

***– მესამე მიზეზზე – შიდა განხეთქილებაზე არ გვისაუბრია, რაც მან დაადასტურა, მაგრამ ყველა თავგამოდებით უარყოფდა მთავრობაშიც და პარლამენტშიც.***

– ძალიან სასაცილო მდგომარეობაში იგდებდნენ თავს ადამიანები, როდესაც ფაქტებს ჩვენი თვალებით ვუყურებდით, ვისმენდით და ამ დროს უარყოფდნენ. ეს მართლაც ტრაგიკომიკური იყო.

ონლაინ ვუყურებდით, პარლამენტის თავმჯდომარეს დეპუტატები რა სიტყვებით მოიხსენიებდნენ. მთავრობის მეთაურსა და პარლამენტის თავმჯდომარის ჩატებიც კი ვნახეთ. რაც ზედაპირზე დევს, იმის უარყოფა არ ვიცი, როგორ შეიძლება, მაგრამ ამას აკეთებდნენ და ძალიან სასაცილოდ გამოიყურებოდნენ ამ დროს ეს ადამიანები.

ცხადია, ამას ვერ უარყოფდა ბიძინა ივანიშვილი, მაგრამ ამის გამო პარტიაში მისი დაბრუნება, ცხადია, არ არის მთავარი მიზეზი, რადგან მას ამის კულისებში მოგვარებაც შეეძლო, არ გაუჭირდებოდა.

***– რა იყო რეალური მიზეზი, დასახელებულ სამ მიზეზს მიღმაა?***



– მიზეზი ბევრია, მათ შორის არის პირადიც. მე ამ დეტალებში არ შევიდოდი.

***– პირადში რას გულისხმობთ?***

– პირადში იმას ვგულისხმობ, რომ ეს ბავშვები, გადამწიფებული თინეიჯერები თამაშობდნენ და ყველაფერი ბიძინა ივანიშვილს ბრალდებოდა. დარწმუნებული ვარ, რომ რასაც ესენი თავიანთი არაკომპეტენტურობითა თუ სხვა მიზეზებით აშავებდნენ, მათ ჰქონდათ კომფორტი, რომ ეს ყველაფერი ბიძინა ივანიშვილის ბრალი იყო. იმის ნაცვლად, რომ პასუხისმგებლობა მოეხსნა, მეტიც, აღმოჩნდა, რომ სხვის გაფუჭებულზეც ის ყოფილა პასუხისმგებელი. ეს ძალიან რთული საყურებელი და ასატანია.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ბოკერიასა და ივანიშვილის თანამშრომლობა მოსალოდნელია“

ვინ ცდილობს ქვეყანაში არეულობის მოწყობას, რა პროცესები იწყება ქვეყნის გარეთ და რა გავლენას იქონიებს ის საქართველოზე, როგორ უშლიან ხელს სპეცსამსახურებს მუშაობაში ხელისუფლებაში მყოფი სხვა ქვეყნის აგენტები, რამ დააბრუნა ივანიშვილი პოლიტიკაში, განვითარდება თუ არა მოვლენები სომხური სცენარით? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.



## ზაალ კასრელიშვილი: „საქართველოში არეულობა მხოლოდ მიხეილ სააკაშვილს აწყობს“

შორენა მარსაგიშვილი

***– 12 მაისს რუსთაველზე გამართულ საპროტესტო აქციაზე რამდენჯერმე ახსენეს სომხეთის სცენარი. თქვენი აზრით, საქართველოში არის იმის ალბათობა, რომ მოვლენები მსგავსი სცენარით განვითარდეს? ხალხი ძალიან უკმაყოფილოა და, როგორც ამბობენ, ყოფილი პრემიერი პოლიტიკაში სწორედ იმიტომ დაბრუნდა, რომ ქვეყანაში პაშინიანის აჩრდილი დადის.***

– ხალხი ხელისუფლების გატარებული პოლიტიკით ძალიან უკმაყოფილოა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ქვეყანაში ის პროცესები დაიწყოს, რაც სომხეთში ვიხილეთ.

ივანიშვილი პოლიტიკაში სომხეთის ამბების გამო არ დაბრუნებულა. მისი დაბრუნება ქვეყნის გარეთ მიმდინარე გლობალურ პროცესებს უკავშირდება. ყოფილ პრემიერს სერიოზული მისია აქვს შესასრულებელი. ამაზე ოდნავ მოგვიანებით მოგახსენებთ. რაც შეეხება 12 მაისის აქციას, ის არანაირ წინაპირობას არ ქმნის იმისთვის, რომ საქართველოში პროცესები აირიოს.

მსოფლიოში მიმდინარე პროცესები საქართველოს წისქვილზე ასხამს წყალს. ამ მომენტისთვის ჩვენს ქვეყანაში არეულობა, ერთი კაცის გარდა, არავის აწყობს.

***– ეს ერთი კაცი პუტინია?***

– გაგიკვირდებათ და არ არის პუტინი. ერთადერთი, ვისაც დღეს საქართველოში არეულობა უნდა, მიხეილ სააკაშვილია.

***– სანამ სააკაშვილზე გკითხავთ, ის გვითხარით, პუტინს რატომ აღარ აწყობს საქართველოში არეულობა? წინა ინტერვიუებში გამუდმებით იმაზე ვსაუბრობდით, რომ მოსკოვი პროვოკაციას მოაწყობდა. ახლა რა ხდება, რატომ გადაიფიქრეს პროვოკაციები?***

– არ გადაუფიქრებიათ, მაგრამ ამ ეტაპზე საქართველოში არეულობა კრემლის ინტერესებში არ შედის. ირანში ისეთი პროცესები იწყება, რომ აქ არეულობა არავის აწყობს. ეს მხოლოდ სააკაშვილს უნდა.

***– სააკაშვილს რაში აწყობს არეულობა? ამ გზით აპირებს ის ხელისუფლებაში დაბრუნებას?***

– ის ხელისუფლებაში ვერასდროს დაბრუნდება, მისმა მატარებელმა უკვე ჩაიარა. ეს თავადაც კარგად იცის.

***– თუ იცის, რატომ ცდილობს არეულობის მოწყობას?***

– ამ არეულობით ის თავისი პატრონებისთვის აქტუალური გახდება. მას შემდეგ, რაც უკრაინაში სრული კრახი განიცადა, მას პატრონები შემოსწყრნენ. ახლა ის ყველაფერს აკეთებს მათი ყურადღების მისაქცევად. ამიტომ გამოეხმაურა თბილისში გამართულ აქციას სასწრაფოდ, ამიტომ დარბოდნენ იმ აქციაზე მისი თანამოაზრეები.

სხვა თემით მან შესაძლოა მიიქციოს კიდევაც ყურადღება, მაგრამ ღამის კლუბში ჩატარებული სპეცოპერაციით დასავლეთს ვერ აღაშფოთებ.

***– იქაც ხშირად ატარებენ ღამის კლუბებში სპეცოპერაციებს და მაგიტომ?***

– რა თქმა უნდა. ნარკოტიკებსა და ნარკორეალიზატორებს ყველგან ებრძვიან. პოლიციას თუ აქვს ოპერატიული ინფორმაცია, ღამის კლუბშიც უნდა ჩაატაროს ოპერაცია, დღის კლუბშიც და სოფლის კლუბშიც. ნარკოტიკების გაყიდვა დანაშაულია.

***– შსს-სა და ხელისუფლებას ამ დღეებში ბევრი პრეტენზია წაუყენეს. ერთ-ერთი მთავარი პრეტენზია იყო ის, რომ ოპერაციის დროს აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მოქალაქეები დააკავეს. რამე კანონი კრძალავს ამ ქვეყნების მოქალაქეების დაკავებას?***

– არანაირი კანონი არ კრძალავს. კანონს ვინც დაარღვევს, ყველა უნდა დააკავო. მნიშვნელობა არა აქვს, რომელი ქვეყნის მოქალაქე იქნება ის.

ამ შემთხვევაში არ ვიცი, რატომ მოხდა მათი დაკავება, რამდენადაც ვიცი, ისინი მალევე გაათავისუფლეს და ამით ამოიწურა ინციდენტი. ჩემი და ჩემი მეგობრების აზრით, ხელისუფლებამ ნარკოტიკებთან ბრძოლისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს უცხო ქვეყნების მოქალაქეებს.

***– მათ რატომ უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება?***

– იმიტომ, რომ გარე ძალები დაინტერესებული არიან, საქართველო ნარკოტიკების გასაღების პუნქტი იყოს. საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა უკავია და აქედან კარგად გაიტანენ ამ საწამლავს რეგიონში.

***– გარე ძალებში რომელ ქვეყნებს გულისხმობთ?***

– ქვეყნებზე მეტად აქ უფრო კარტელური ინტერესებია. თუმცა რამდენიმე ქვეყანა კმაყოფილი იქნებოდა, თუ საქართველო ნარკოკარტელად იქცეოდა.

***– ყველაზე მეტად ეს რუსეთს გაუხარდებოდა ალბათ, თუ, არეულობის მსგავსად, ესეც არ სურს პუტინს?***

– პუტინს ბევრი რამე უნდა, მაგრამ გლობალურმა პროცესებმა შეუკვეცა მის სურვილებს ფრთები. საქართველოში პრორუსული ძალების რეიტინგი ძალიან დაბალია და კრემლმა იცის, რომ არჩევნების გზით ეს ძალები ვერასდროს მოვლენ ხელისუფლების სათავეში.

***– ამ შემთხვევაში არეულობა ხომ უფრო უნდა აწყობდეს?***

– მოსკოვს აქ აღარ ჰყავს სერიოზული დასაყრდენი. არეულობა რომ მოხდეს და ხელისუფლება დაამხონ, პრორუსულები სათავეში მაინც ვერ მოვლენ. ხელისუფლება ხელში შესაძლოა ისეთმა ძალებმა ჩაიგდონ, რომლებიც ყველაზე მეტად ანტირუსები არიან.

***– დღევანდელი ხელისუფლება არ არის ანტირუსული?***

– ხელისუფლებას დასავლეთისკენ აქვს კურსი აღებული, მაგრამ არც რუსეთს ეტყვის დიალოგზე უარს. ამიტომ არ სურს პუტინს არეულობა ამ ეტაპზე. ხვალ რა იქნება, ვნახოთ.

ისევ ნარკოტიკების თემას დავუბრუნდები და ბევრი ვინმეა იმით დაინტერესებული, რომ საქართველო ნარკოტიკების გასაღების მსხვილ ცენტრად იქცეს. არც ის არის შემთხვევითი, ახალი ნარკოტიკები პირველად საქართველოს ბაზარზე რომ ხვდება.

***– ამას რა მიზანი აქვს?***

– საქართველოში გამოცდიან, როგორი ნარკოტიკია და მერე სხვა ქვეყნებშიც გაიტანენ. ცოტა ხნის წინ გამოჩნდა ქართულ ბაზარზე მეფედრონი. ამ ტიპის ნარკოტიკი სხვაგან არსად ფიქსირდება. ამ ნივთიერებამ რამდენიმე ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა.

***– საიდან მოხვდა საქართველოში ეს ნივთიერება?***

– რაღაც ეჭვები და ინფორმაციები ჩვენ, რა თქმა უნდა, გვაქვს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის, რომ ვინმეს ხელი დავადოთ. ეს საქმე შსს-მ და სპეცსამსახურებმა უნდა შეისწავლონ. დარწმუნებული ვარ, სათანადო ორგანოები უკვე ფლობენ ძალიან სერიოზულ ინფორმაციებს.

ჩვენი სპეცსამსახურები გაცილებით უკეთესად იმუშავებდნენ, ხელისუფლებაში მოკალათებული აგენტები რომ არ უშლიდნენ ხელს. ცოტა ხნის წინ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა პარლამენტში ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტი შეიტანა, რომლის მიღებაც ლუსტრაციის კანონის მიღების ტოლფასი იქნებოდა, რაც ჩვენს ქვეყანას ერთხელ და სამუდამოდ გაათავისუფლებდა აგენტების ტყვეობიდან.

პარლამენტსა და მთავრობაში მოკალათებული აგენტები ამას, ბუნებრივია, არ დაუშვებდნენ. ამიტომაც იბლოკება ამ პროექტის გატანა. ამის დამტკიცება მაინც მოუწევთ და მერე საბოლოოდ გაირკვევა, ვინ ვინ არის და ვინ რომელი ქვეყნის დავალებებს ასრულებს.

როდესაც უცხო ქვეყნის აგენტურაზე ვსაუბრობთ, რატომღაც სულ რუსეთზე ვამახვილებთ ყურადღებას. არადა, საქართველოში თავისი აგენტურა ძალიან ბევრ ქვეყანას ჰყავს. აქ ძალიან ბევრი ქვეყნის ინტერესი იკვეთება. საქართველოს ყოველთვის დიდი ფასი ჰქონდა. ირანის მოვლენების შემდეგ მისი ფასი კიდევ უფრო გაიზრდება.

***– რამდენიმე თვის წინ თქვენ „ახალ თაობასთან“ საუბარში თქვით, რომ ახლო აღმოსავლეთის შემდეგ ამერიკა ირანისთვის მოიცლიდა. სხვა პროგნოზების მსგავსად, ეს პროგნოზიც გამართლდა. საქართველოსთან დაკავშირებით თუ გაქვთ პროგნოზი – გვეშველება რამე?***

– რამდენიმე თვის წინ მე ისიც გითხარით, რომ ირანის შემდეგ კავკასიაში დაიწყებოდა საინტერესო პროცესები. როდის მოიცლის დასავლეთი კავკასიისთვის, ვერ გეტყვით, იმიტომ, რომ ირანში ასე ადვილად არ დასრულდება პროცესი, მაგრამ არც ისე გაიწელება, როგორც ეს სირიაში ხდება.

ჩვენ არ ვიცით, როდის დასრულდება ირანის ამბები, მაგრამ ვიცით, რა მოხდება იქ. ისიც ვიცით, ვინ მოვა ირანის ხელისუფლებაში და როგორ მოხდება იქ გავლენების გადანაწილება.

***– გვეტყვით, როგორ მოხდება ეს ყველაფერი?***

– ვერ გეტყვით, იმიტომ, რომ არ შეიძლება იმ ინფორმაციის გაჟღერება, რასაც შენი მეგობრები კონფიდენციალურად გაწვდიან. ამის შესახებ მე ამერიკელმა მეგობრებმაც მიამბეს და ირანელებმაც. წინ ბევრი საინტერესო ამბავი გველოდება.

***– თქვენ არ გვიპასუხეთ კითხვაზე, გვეშველება თუ არა რამე?***

– გვეშველება კი არა, ჭკუით თუ მოვიქცევით, გავბრწყინდებით კიდევაც. გლობალური პროცესები ჩვენ სასარგებლოდ მიდის. ახლა მთავარია, ჩვენ მოვიქცეთ ჭკუით.

სწორედ ამიტომ დაბრუნდა ივანიშვილი პოლიტიკაში. მას ახლა სამი მისია აქვს შესასრულებელი – უნდა გააძლიეროს პარტია, გააძლიეროს ეკონომიკა და მთავრობაში განახორციელოს ცვლილებები.

***– შეძლებს ამ მისიის შესრულებას?***

– ალბათ შეძლებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ დაბრუნდებოდა.

***– თქვენი აზრით, რომელ მინისტრს შეცვლის?***

– ეს მან უნდა გადაწყვიტოს. ცვლილებები აუცილებლად იქნება. მან ხელისუფლებაში პროფესიონალები უნდა მოიყვანოს.

***– ახლა არ არიან პროფესიონალები?***

– ფაქტია, რომ ხალხის მოლოდინი ვერ გაამართლეს. ხალხს იმედები ოპოზიციამაც გაუცრუა. ოპოზიციამ მოვლენა ვერ შექმნა და ისინი ყველაფრისგან ცდილობენ სკანდალის შექმნას. ახლა ბარიგების დაცვით ცდილობენ ქულების დაწერას და ხალხს ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდებენ, იგონებენ, თითქოს ახალგაზრდების თავისუფლება იზღუდება.

ღამის კლუბებში სპეცოპერაცია ახალგაზრდების წინააღმდეგ არ ჩატარებულა. ეს იყო ბარიგების წინააღმდეგ ჩატარებული ოპერაცია. ბარიგებს მთელ მსოფლიოში დასდევენ.

***– თქვენ ამბობთ, რომ ეს ოპერაცია ბარიგების წინააღმდეგ ჩატარდა. არის ვარაუდი, რომ ამ კლუბებში შევარდნის ბრძანება ბერა ივანიშვილმა გასცა. სპეცოპერაციამდე რამდენიმე დღით ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ბასიანს“ ის მფარველობდა. ამბობენ, რომ ამ ეჭვის გასაქარწყლებლად იპოვა გამოსავალი, სახელად სპეცოპერაცია.***

– არაფერი არ უნდა გამორიცხო, მაგრამ მეეჭვება, ბერა ივანიშვილს ამ კლუბებთან რამე საერთო ჰქონდეს. მამამისს აქვს ძალიან ბევრი ფული და ვერავინ დამაჯერებს, რომ ის დინამოს სარდაფში გახსნილი კლუბით დაინტერესდებოდა.

უკვე გითხარით, რომ ოპოზიციამ მოვლენა ვერ შექმნა და რაღაცებს მიედ-მოედება. ახლა ამ ჭორებით ცდილობენ ქულების დაწერას.

***– ბოროტი ხმები ამბობენ, რომ ივანიშვილი აქტიურად თანამშრომლობს გიგა ბოკერიას „ევროპულ საქართველოსთან“. ამაზე რა ინფორმაცია გაქვთ?***

– ჩემი ინფორმაციით, ისე განვითარდება მოვლენები, რომ, შესაძლოა, ქართველებმა ხელის ცეცებით დავუწყოთ ერთმანეთს ძებნა.

***– ანუ თქვენ არ გამორიცხავთ მათ თანამშრომლობას?***

– ისეთი დრო მოდის, შესაძლოა, ხელების ცეცებით დავიწყოთ ერთმანეთის ძებნა.

# დიდი არეულობა რუსთაველის გამზირზე

დასაწყისი მე-2 გვერდზე

რიგს საქართველოში ვერ წაიყვანენ. დღის წესრიგი გვეკუთვნის ჩვენ. სიკვდილი მტერს, – განაცხადა „საქართველოს სამოქალაქო ერთობის“ ლიდერმა გიორგი ჭელიძემ.

მათ მსვლელობა დინამოს სტადიონის მიმდებარე ტერიტორიიდან დაიწყეს. ბოლო ლოკაცია რუსთაველის გამზირი იყო. ადგილზე მობილიზებულმა სამართალდამცავებმა მათ კონტრაქციის ჩატარების უფლება „თეთრი ხმაურის“ აქტივისტების სიახლოვეს არ მისცეს.

„ეროვნულ-სოციალისტური მოძრაობის“ წევრებს პირბადეები ეკეთათ და სკანდირებდნენ: „მოკვდი, მტერო, იხარე, ერო!“

პოლიციის წინააღმდეგობის მიუხედავად, პირბადიანების ნაწილმა რუსთაველის გამზირზე აქციის გამართვა მაინც შეძლო.

რამდენიმე პირბადიანი „თეთრი ხმაურის“ აქციაზე შეჭრას შეეცადა. ისინი სამართალდამცავებმა დააკავეს.

პოლიციას გაბედავას ხალხთანაც მოუხდა ჭიდაობა. მათი თქმით, რუსთაველის გამზირი „თეთრი ხმაურის“ მოძრაობის აქტივისტებისგან უნდა გაწმინდონ, რომლებმაც, მათი შეფასებით, 9 აპრილის მემორიალი შეურაცხყვეს.

– ჩვენ ვაპირებთ, მშვიდობიანი ფორმით პატივი მივაგოთ 9 აპრილის მემორიალს, რომელსაც გუშინ შეურაცხყოფა მიაყენეს აქციის მონაწილეებმა. გახსოვთ კადრები, როცა გოგო ცეკვავს მემორიალზე და მთელი აქცია ამას ტაშს უკრავდა. ჩვენ გვინდა, პასუხი გავცეთ ამ საქციელით, სანთლები გვინდა დავანთოთ, – განაცხადა გიორგი გაბედავამ.

მას რუსთაველის გამზირის გაწმენდის უფლება არ მისცეს და ზედმეტი აქტიურობის გამო დააკავეს კიდევაც.

მიუხედავად იმისა, რომ აქციისა და კონტრაქციის მონაწილეებს შუაში პოლიცია edგათ, მხარეები ერთმანეთს მაინც მისწვდნენ, ერთურთი ჯერ სიტყვიერად დაგმეს, მოგვიანებით კი „თეთრი ხმაურის“ აქციას ქვები ესროლეს.

სიტუაციის დაძაბვის შემდეგ „თეთრი ხმაურის“ ლიდერმა ბექა წიქარიშვილმა მთავრობისგან პოლიტიკური განცხადების გაკეთება მოითხოვა.

წიქარიშვილმა პოლიციას მოსთხოვა, რომ ისინი დაეცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, პირობა დადო, რომ ამას თავად გააკეთებდნენ.

* * *

დღის ბოლოს მთავრობის მეთაურმა გიორგი კვირიკაშვილმა საგანგებო განცხადება გააკეთა. მან 12 მაისს ღამის კლუბებში ჩატარებული სპეცოპერაცია და პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე მოვლენები შეაფასა.

მან პირობა დადო, რომ საქართველოში სიტყვის თავისუფლებას საფრთხე არ დაემუქრება.

– 12 მაისის დილიდან გუშინ მიმდინარეობს აქტიური განხილვა იმ საკითხების, რომლებსაც ჩვენი მოქალაქეები აყენებენ. მინდა, კიდევ ერთხელ მოგმართოთ, ჩემო შვილებო. მე ვარ გარანტი, რომ თქვენს სიტყვის თავისუფლებას საფრთხე არ დაემუქრება. პოლიცია ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ თქვენ შეძლოთ თავისუფალი სიტყვის გამოხატვა. კატეგორიულად დაუშვებელია დაპირისპირება და საზოგადოების ორად გახლეჩა. მოვუწოდებ სამართალდამცველებს, გააძლიერონ ძალები, – განაცხადა პრემიერმა.

რუსთაველის გამზირზე დაძაბულობა პრემიერის გამოსვლის შემდეგაც შენარჩუნდა. პოლიციამ აქციის ტერიტორიაზე წყლის ჭავლის 2 მანქანა შეიყვანა და სპეცრაზმის მობილიზება მოახდინა.

მოგვიანებით გამზირზე შს მინისტრი გიორგი გახარია მივიდა. ის მოძრაობა „თეთრი ხმაურის“ წარმომადგენლებს შეხვდა.

# „ეს რა უბედურება ხდება ჩვენს თავს, ეს რა ვნახე!“

ნონა ცაბაძე

გასული კვირის პარასკევი შავ პარასკევად მონათლეს. კლუბ ბასიანსა და კლუბ გალერიში შს სამინისტრომ სპეცოპერაცია ჩაატარა და რვა ნარკორეალიზატორი დააკავა. „ახალი თაობის“ კითხვებს ხათუნა ხოფერია და შალვა ხაჭაპურიძე პასუხობენ.



***– ქალბატონო ხათუნა, შს საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული სპეცოპერაცია საზოგადოების ერთმა ნაწილმა მკაცრად გააკრიტიკა. კლუბში შემოვარდნით ჩვენი უფლებები დაირღვაო. მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ იღუპება ახალგაზრდა თაობა და ხელისუფლება უფრო ქმედითი უნდა იყოს. რას იტყვით თქვენ?***

– მარტო ახალგაზრდა თაობის დაღუპვაზე არ არის საქმე. ზოგადად ნარკოტიკების რეალიზაცია არის კრიმინალი! ეს არის ძალიან სერიოზული დანაშაული და სახელმწიფო ვალდებულია, იბრძოლოს ამის წინააღმდეგ. შევიდნენ იუთუბზე და ნახონ, რა ფილმებია განთავსებული. დევს ძალიან საქებარი მასალები, როდესაც ნარკორეალიზატორების აყვანისთვის ტარდება ძალიან მასშტაბური სპეცოპერაციები და ეს ითვლება სამართალდამცავი ორგანოების მუშაობაში ძალიან მნიშვნელოვან ფაქტორად.

***– ჩვენთან გალანძღეს, შეურაცხყოფა მიაყენეს და დააკნინეს პოლიცია.***

– უფლებადამცველი, რომელიც ამას იკადრებს და შეეცდება, რომ დისკრედიტაცია გაუწიოს ამ ოპერაციას და რაღაცა სარჩული დაუდოს, ცალკე შესწავლის საგანი უნდა გახდეს! ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებაში მთავარი რაც არის, ეს არის სიცოცხლის უფლება! ნარკორეალიზატორები კი უქმნიან რეალურ საფრთხეს ჩვენი შვილების, მეგობრების, ნათესავებისა და მეზობლების სიცოცხლეს. თუ ამისი პრევენცია ხდება სამართალდამცავების მხრიდან, უფლებადამცველი ვის უფლებას იცავს და რა უფლებას იცავს საერთოდ?! აქ სხვა მოთხოვნები უნდა წამოვიდეს უკვე.

***– რა მოთხოვნები?***

– სწორედ ასეთი უფლებადამცველების მუშაობა უნდა იქნეს შესწავლილი და ამ ადამიანებმა თავიანთი პოზიცია უნდა დაასაბუთონ. რას ნიშნავს, უფლებადამცველი გერქვას და იცავდე ნარკორეალიზატორს?! ან თუნდაც ნარკომომხმარებელს იცავდე. რისგან უნდა იცავდე?!

***– მათი პროტესტი კითხვის ნიშნებს აჩენს?***

– შსს-ს ჰქონდა ოპერატიული ინფორმაცია, ჩაატარა სპეცოპერაცია, აყვანილი არიან ნარკორეალიზატორები და ესენი რას აპროტესტებენ, ძალიან მაინტერესებს! სპეცოპერაციის დროს რომ ტერორისტები აიყვანეს, ეს ხალხი ტერორისტების დაკავებასაც აპროტესტებდა. საერთოდ რა უნდათ ამ ხალხს ამ საზოგადოებაში? იქნებ საჭიროა, სწორედ ეს ადამიანები მოვაქციოთ იზოლაციაში ჩვენი შვილებისა და საზოგადოებისგან. აი, ასეთი უფლებადამცველები.

***– კონკრეტულად ვისზე საუბრობთ?***

– ბევრზე. პირველ რიგში კი ზურაბ ჯაფარიძე, ეს ნაციონალური მოძრაობის პროდუქტი! საერთოდ რა უფლება აქვს მას, რაზე საუბრობს! ვინ არის, რას წარმოადგენს?! რატომ არ არსებობს სანქციები ასეთი ადამიანების წინააღმდეგ?! ის რყვნის უბრალოდ საზოგადოებას?! შეცდომაში შეჰყავს ადამიანები, თავის გარშემო იკრებს დამნაშავეებს. ასე მარტივად უნდა გამოუშვა და ბოდიშები უხადო?! სამართალდამცავი ორგანოები ატარებენ სპეცოპერაციას და ამას ჩვენი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მიესალმება.

***– ვინც აკრიტიკებს?***

– და ვინ არიან ეს ადამიანები და რა უნდათ? ამიხსნას ვინმემ! საიდან მოვიდნენ და რას გვიბიძგებენ?! პირდაპირი ლაივები ტრიალებს ამ კლუბებიდან სოციალურ ქსელში, შეხედეთ, ან გოგოები, ან ბიჭები რას ჰგვანან! იმის ნაცვლად, რომ ყველაფერი გაკეთდეს, ამ ადამიანებს უმკურნალონ, ხელი შეუწყონ იმაში, რომ დაუბრუნდნენ ნორმალურ ყოფას, ჯაფარიძეს და მისნაირებს გამოჰყავთ, პარლამენტის წინ აყენებენ და საპროტესტო აქციას აწყობინებენ! რას ნიშნავს ეს პროტესტი, რას ამბობენ? ჩვენნაირები გახდითო, ჩემს შვილიშვილებს ეუბნებიან?!

***– კარგ ტონად ითვლება ღამის კლუბებში სიარული და კლუბური ნარკოტიკის მოხმარება.***

– სამართალდამცავებმა რომ ასეთი მასშტაბური აქცია ჩაატარეს, მე იმედს ვიტოვებ, რომ კიდევ გაგრძელდება მათი მხრიდან ასეთი დამოკიდებულება და ასეთი ოპერაციები. სავალდებულოა და ეს ყველაფერი უნდა დამთავრდეს იმ ადამიანების დაპატიმრებით, რომლებიც ამის მოთავენი არიან, ანუ რომლებიც მფარველობენ ამ ნარკობიზნესს, ასეთ განუკითხაობას კლუბებში.

ეს ადამიანები მოკალათებული არიან საკმაოდ მაღალ ეშელონებში და ხელისუფლებამ, შს სამინისტრომ უნდა ამხილოს ისინი. გარწმუნებთ, ძალიან ბევრი უფლებადამცველიც მოყვება უკვე ამ მხილებაში! სწორედ ამით უნდა დაგვირგვინდეს ეს ყველაფერი!

ეს არ მთავრდება იმით, რომ ვიღაცა 20 წლის გოგომ მოინდომა ნარკოტიკის გაყიდვა და შსს-მ ის დააკავა. იმ 20 წლის გოგოს და ზოგადად ამ ბიზნესს საკმაოდ სერიოზული მფარველი ჰყავს მაღალი თანამდებობის პირებისგან და სასწრაფოდ უნდა მოხდეს ამ ადამიანების მხილება! გარწმუნებთ, ამის შემდეგ პრობლემა იქნება ამოწურული!

❖ ❖ ❖

**შალვა ხაჭაპურიძე:**

– ეს კადრები რომ ვნახე, რამდენიმე საკითხად შეიძლება დაიყოს ეს სპეცოპერაცია. ის ადამიანები, რომლებიც ამ კლუბებიდან გამოიყვანეს, მათი კომენტარები, ჯერ რა სახეები აქვთ, რა მიმიკები, აშკარად ყველა მათგანი რაღაც






ნივთიერების ზეგავლენის ქვეშ იყო, რა სიტყვებით იგინებოდნენ.

***– შეურაცხყოფას აყენებდნენ პოლიციას.***

– ქართული მარშის ბიჭები ტელევიზიასთან მივიდნენ და ორი სიტყვის გულისთვის ციხეში ჰყავთ ჩაყრილი, ამათ კი გადაუარეს პოლიციას, სახეში აფურთხეს და ადმინისტრაციულ ჯარიმებზე გადაიყვანეს. ამას შერჩევითი მართლმსაჯულება ჰქვია. მე იქ ვერ ვნახე, რასაც 26 მაისსა და 7 ნოემბერს გვიშვრებოდნენ.

***– რის თქმა გინდათ, რომ არ ყოფილა კანონის გადამეტება?***

– რასაკვირველია. 26 მაისს კისერში რომ წამიჭირეს არმატურა, დღემდე ვმკურნალობ ხერხემალზე და დღემდე კაციშვილი არ არის ამ 26 მაისის საქმეზე დასჯილი. ამ კლუბებიდან გამოსულებმა კი რაც პოლიციას უქნეს, პირდაპირ ხელისუფლების დამხობისკენ იყო მოწოდებები. ამაზე სამართალდამცავებმა თუ არ გააკეთეს დროული რეაგირება, ეს ყველაფერი გაიზრდება.



***– როგორც უფლებადამცველი, რას იტყვით, რამდენად დაარღვია პოლიციამ კლუბში მყოფთა უფლებები?***

– ვთქვათ, მე მისული ვარ კლუბში იმისთვის, რომ კარგ და გემოვნებიან მუსიკას მოვუსმინო. კი, ეს, ერთი მხრივ, ცუდია, მაგრამ, როდესაც არსებობს მომეტებული საფრთხე და აშკარა ინფორმაცია, რომ აქ შეიძლება ხდებოდეს დანაშაული, პოლიციამ ამ შემთხვევაში რა უნდა გააკეთოს?! რა, მიკროფონში გამოეცხადებინა, კლუბში ვინც ნარკოტიკებს ყიდით, გთხოვთ, გარეთ გამობრძანდითო?! ასე არ ხდება! უამრავი მაგალითია ამის და მეტისმეტი ნუ მოსდით, რა!

***– ანუ პოლიცია სწორად და კანონის ჩარჩოებში მოქმედებდა?***

– რა თქმა უნდა. როდესაც მომეტებული საფრთხეა, იარაღის გამოყენების უფლებაც აქვს პოლიციას! აბა ერთი ამერიკაში ჩატარებულიყო ასეთი ტიპის ოპერაცია და ვნახავდით ერთი, პოლიციას რომ შეაფურთხებდნენ, რა პასუხსაც მიიღებდნენ! შეიძლება იქ ვინმეს უფლება შეილახა, ვინც მშვიდად მუსიკას უსმენდა, მაგრამ ასეთი ტიპის ადამიანები ამას გაგებით ეკიდებიან ხოლმე. თუმცა ჩვენ იქ სულ სხვა სურათი ვნახეთ. მერე მიტინგის ჩატარება მოინდომეს. ჩემთვის ამ ყველაფერში მთავარი ორი რამ არის.

***– კერძოდ, რა?***

– ორი თვეა, გვამები გამოაქვთ ამ კლუბებიდან! ყოჩაღ გახარიას, ეს რომ გააკეთა! ქუჩაში გამოვალ და დავიცავ ამ ყველაფერს. ჩემნაირი ძალიან ბევრია და ჩვენ არ ვართ ხელწამოსაკრავი ძალა. ასეულობით ათას ადამიანს გამოვიყვანთ ქუჩაში! და მეორე: მიუხედავად ამისა, რაც განხორციელდა, მე ველოდები შინაგან საქმეთა სამინისტროსგან, რომ დაკავებულნი იქნენ ნარკოტიკების გამსაღებლების მფარველები. მთავარი ეს არის!

***– თქვენც ფიქრობთ, რომ მფარველები ჯერ ხელშეუხებლები არიან?***

– დიახ. მე ჯერჯერობით თავს ვიკავებ მათი დასახელებისაგან. მე მქონდა სისხლის სამართლის საქმე, სადაც ვიცავდი ნარკოტიკების გასაღებაში ბრალდებულ ადამიანებს, სადაც მე ვისაც ვიცავდი, ის ადამიანები გამართლდნენ, თუმცა იმ საქმეში იყო კიდევ ოთხი თუ ხუთი პირი და მათზე გამოვიდა საკმაოდ მკაცრი სასჯელები. ამ საქმეში გაჟღერდა საკმაოდ მაღალჩინოსნის გვარი, რომელიც დღესაც მუშაობს. ეს არის ერთი წლის წინანდელი საქმე.

***– თუ საჭირო გახდა, დაასახელებთ ამ გვარს?***

– რა თქმა უნდა, დავასახელებ. ეს სისხლის სამართლის საქმე არქივშია და ამოიღონ და ნახონ. იქ წერია ამ პირის გვარი.

***– შს სამინისტროს თანამშრომელია?***

– კი და საკმაოდ მაღალჩინოსანია. პეტრე გაყიდის ამ წამალს თუ პავლე, რა მნიშვნელობა აქვს, ასეთებს ყოველთვის მოძებნიან. მთავარია, ამათი მფარველები, ამ საწამლავის შემომტანები დააკავონ. საქმე გვაქვს სერიოზულ ორგანიზებულ დანაშაულთან. ამიტომ შედეგიანი იქნება ეს ყველაფერი, როცა დავინახავ ძალიან ბევრ მაღალჩინოსანს ციხეში.

***– ბევრნი არიან?***

– ჩემი ინფორმაციით, დაახლოებით 500-მდე თანამდებობის პირია ამაში გარეული, ერთი ძალიან დიდი და მერე რგოლებად მოჰყვება ქვევით და ქვევით. აი, ამ ადამიანებს რომ დავინახავთ ციხეში, მაშინ ვიტყვით, რომ პოლიცია მუშაობს კარგად!

გასულ კვირას მივმართე პარლამენტს ახალი კანონპროექტით და მოვითხოვე ნარკოგამსაღებლებისთვის უვადოდ თავისუფლების აღკვეთა. ამის განხილვა მოხდა ღია კომიტეტის სხდომაზე, ეკა ბესელიას მიჰყავდა. როგორც კი გამოაცხადა ეკა ბესელიამ, რისი განხილვა იგეგმებოდა, დეპუტატები ადგნენ და დემონსტრაციულად დატოვეს კომიტეტის სხდომა! დღეს ყველაფერი უკავშირდება ერთ საკითხს.

***– რომელ საკითხს?***

– ბიძინა ივანიშვილმა დააკომპლექტა გუნდი, მაგრამ ეს კარგი გუნდი გადაწონეს უნიათოებმა და უვარგისებმა. სიტუაცია მივიდა იქამდე, რომ ეს კაცი იძულებული გახდა, ისევ დაბრუნდეს პოლიტიკაში. ყველაფერი ჭაობშია, მარტო ნარკოტიკებში ხომ არ არის საქმე. დღეს ბიძინა ივანიშვილმა უნდა გადადგას საკმაოდ რადიკალური ნაბიჯები. პირველ რიგში პარტიას, შემდეგ მინისტრთა კაბინეტს უნდა მიხედოს, სადაც, 2-3 კაცის გარდა, ყველა შესაცვლელია. ქვეყანა დაღუპვის პირასაა მისული. რას აცხადებდა კლუბიდან გამოყვანილი ხალხი, არ მოუსმინეთ?!

***– რას?***

– ჩვენ საქართველოს მომავალი ვართ, როგორ გვექცევითო! ესაა ჩვენი ქვეყნის მომავალი?! ამათ უნდა მართონ ეს ქვეყანა?! რას ჰგვანან, როგორ საუბრობენ. რად უნდა ამას დიდი ჩხრეკა და ოპერაცია, ყველას სახეზე ეწერა, რა დღეშიც არიან და რამდენად ნარკოტიკების ზეგავლენის ქვეშ იმყოფებიან. თავს ვერ იკავებდნენ, საუბრისას ქანაობდნენ და საერთოდ რაზე გველაპარაკებიან!

ეს რა ვნახე, შეშინებული ვარ. თუ ხელისუფლება არ გაატარებს რადიკალურ ზომებს, მაშინ ჩვენ, ქართველი ხალხი, დავირაზმებით ამის წინააღმდეგ. ამას ასე არ გავატარებინებთ. ამ დღემ ყველაფერი გამოააშკარავა. თურმე ეს რა უბედურება ხდება ჩვენს თავს, ეს რა ვნახე!

# ვასიკო სილაგაძე: „ცხოვრებასთან გამოცხადებული ომი ჯერ არ წამიგია“

## „ღამის სამის ნახევარზე ჩემი დეიდაშვილის მეგობარმა ქუჩაში დასისხლიანებული, უგონოდ მიპოვა“

„მე მეორედ დავიბადე“, – ასე ფიქრობს კაცი, რომელიც დღემდე გადარჩენისათვის იბრძვის. 2003 წლის საბედისწერო ღამე, რომელიც ბუნდოვნად მახსოვს, მაშინ გეპეის სტუდკავშირში ვმუშაობდი, სამუშაოს გვიან მოვრჩი, ოქტომბრის ბოლო დღე იყო, საშინელი სუსხიანი ღამე, გარეთ კი – უჩვეულო სიწყნარე. სიგარეტი ამოვიღე, მოკიდება ვცადე, ნიავმა ასანთი ჩამიქრო, მეორედაც გავუკიდე, არ მახსოვს, რაზე ვფიქრობდი ან შეიძლება დაღლილი ვიყავი. უცებ მანქანის შემზარავი კივილი გავიგე, სიგნალთან ერთად. მას შემდეგ ორი თვე აღარაფერი მახსოვს.



როგორც ვასო ამბობს, მხოლოდ იმიტომ დაუწყეს მკურნალობა, რომ ცოცხალი იყო, როცა მიიყვანეს, თორემ მისი გადარჩენის შანსი თითქმის არ არსებობდა. თითქმის 6 თვე ებრძოდა სიკვდილს და ბოლოს გამოწერეს კიდეც. მეხსიერება აღუდგა, შინაგანი ნებისყოფისა და შემდგომი მკურნალობის შედეგად ის მოახერხა, რომ დღეს მარჯვენა ხელ-ფეხს, რომელიც წართმეული ჰქონდა, ხრის, მაგრამ ხელს ვერ ამოძრავებს და ფეხსაც სრული დატვირთვისთვის ვერ იყენებს: ხელჯოხით გადაადგილდება.

– გადარჩენის შანსი ნული იყო, მაგრამ ალბათ გამიმართლა და დღეს, ასე თუ ისე, ცოცხალი ვარ. ცოტა ხანს ჩერდება, თავს გვერდზე აბრუნებს და მარცხენა ხელით ცრემლებს იწმენდს, არ უნდა რომ დავინახო, რამდენიმე წამი ასე, შემდეგ ერთიანად შეიცვალა, გამიღიმა, ალბათ რაღაც კარგი მოგონება ამოუტივტივდა – გავიფიქრე ჩემთვის.

ბავშვობის პერიოდზე ვკითხე. კითხვა არ მქონდა დამთავრებული, რომ უკვე მიყვებოდა:

– დავიბადე ქალაქ თბილისში. 72-იანი ვარ. ერთი შეხედვით, წყნარი და დალაგებული ბავშვი ვიყავი. კარგადაც ვსწავლობდი, ოჯახში უფროსებს ვუჯერებდი, არაფრით გამორჩეული სხვებისაგან. მეხუთე კლასში ვიყავი, რომ ავიჩემე, მსახიობი უნდა გავხდე-მეთქი, შემდეგ – ჟურნალისტიკა.

1994 წელი იყო. მეგობარს შევუარე ტელევიზიაში. წავიწუწუნე, მთელი ცხოვრება მინდოდა ჟურნალისტობა-მეთქი. აგერ არის ნატო ონიანი, შედი და დაელაპარაკეო. მეც ავდექი და ქალბატონი ნატოს კაბინეტის კართან ავიტუზე. ის მაშინ მეორე არხის საინფორმაციო სამსახურის უფროსი და გადაცემა „ტაიმაუტის“ ავტორი და წამყვანი იყო. კარზე დავაკაკუნე და მობრძანდითო, მითხრა. ვუთხარი, რომ ჟურნალისტად მუშაობის ძალიან დიდი სურვილი მქონდა. თუ გაქვს გამოცდილებაო. არა-მეთქი, ვუპასუხე. მოდი, ვცადოთო. მოკლედ, მეორე არხზე 6 წელი ვიმუშავე. მერე პირველ არხზე „ალიონში“ გადავედი სამუშაოდ. შემდეგ ბეჭდურ მედიაში გადავინაცვლე...

სხვადასხვა დროს იყო „მეორე არხისა“ და „პირველი არხის“ ჟურნალისტი. 2000 წლიდან პრესაში დაიწყო მოღვაწეობა. თავდაპირველად იყო გაზეთი „ახალი თაობა“, შემდეგ საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსი“ და ბოლოს – გაზეთი „რეზონანსი“.

– მეორე არხის შემდეგ მუშაობა დავიწყე პირველი არხის საინფორმაციოში, სადაც გავიცანი უამრავი დღეს ცნობილი ჟურნალისტი: ზაალ უდუმაშვილი, ინგა გრიგოლია, მაია ასათიანი, გოდერძი შარაშია და სხვები. უხელფასობის გამო გადავწყვიტე პირველი არხიდანაც წამოსვლა, 2000 წელს დავიწყე გაზეთ „ახალ თაობაში“ მუშაობა. ბეჭდური მედია ისე არ მიზიდავდა, როგორც ტელევიზია, მაგრამ სხვა გამოსავალი არ მქონდა, რაღაცით უნდა მერჩინა თავი და მე ჟურნალისტიკის გარდა არაფერი გამომდიოდა.

შემდეგ კი იყო ის საბედისწერო ღამე, რომელზეც დასაწყისში მოგახსენეთ.



**ვასილ სილაგაძე:**

– ღამის სამის ნახევარზე ჩემი დეიდაშვილის მეგობარმა ქუჩაში დასისხლიანებული, უგონოდ მიპოვა. როგორც თვითმხილველი ამბობს, სასტუმროსთან უნომრო შავი „ოპელი“ დამეჯახა და გაიქცა. ქალა-ტვინის მძიმე დაზიანება მქონდა. ექიმები ოჯახს ჩემი გადარჩენის იმედს ვერ აძლევდნენ. მხოლოდ 21 დღის შემდეგ აღმოაჩინეს, რომ ფეხიც მოტეხილი მქონია... როცა გონს მოვედი, იმ საბედისწერო დღიდან ექვსი თვე იყო გასული. ექვსი წელი ეტლს ვიყავი მიჯაჭვული, რამდენიმე ოპერაცია ხორხზეც დამჭირდა მეტყველების აღსადგენად. პირველად ფეხზე 2009 წელს დავდექი. გაჭირვებით ვახერხებდი ნაბიჯების გადადგმას. ახლაც მარჯვენა ხელი და ფეხი პარალიზებული მაქვს. 2008 წელს ჩამიტარდა რეაბილიტაციის კურსი და ისეთი შედეგი მომცა, რომ შედარებაც არ შეიძლება.

სხვადასხვა ქვეყნის კლინიკებში გავაგზავნე ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობის მონაცემები. რამდენიმე მათგანიდან მომივიდა პასუხი, მათ შორის მიუნხენიდანაც.

სრული რეაბილიტაცია შეუძლებელია, მაგრამ აუერ -ის წამყვანი ექიმები ამბობენ, რომ დაზიანებული კიდურების 80-85%-ით აღდგენა, სრული კურსის გაკეთება კი 8.000 ათასი ევრო ჯდება.

ვასილ სილაგაძე იყო აქტიური ჟურნალისტი, პროფესიონალი, ყველასთვის საყვარელი, მოუსვენარი, დაუდეგარი და დატვირთულ რეჟიმს მიჩვეული. 46 წლის კაცი დღეს უმოქმედოდაა და მხოლოდ იმაზე ფიქრობს, პრეპარატებისთვის საჭირო ფული საიდან და როგორ იშოვოს... არადა, თვითონ დარწმუნებულია და ექიმებიც ეუბნებიან, რომ გერმანიაში ერთი სარეაბილიტაციო კურსის გავლა მის ჯანმრთელობაზე ძალიან დადებითად აისახება და შეძლებს, საქმითაც დაკავდეს.

– 2009 წლიდან, როდესაც უკვე ფეხი ავიდგი და ხელჯოხის დახმარებით სიარული შევძელი, წავედი პარლამენტში, ვხვდებოდი ყველას, ვისაც შეეძლო ჩემი დახმარება დაფინანსებასთან დაკავშირებით და არა მარტო პარლამენტარებს. ერთ დღეში შემოვიარე ყველა დიდი კომპანია, რათა სპონსორი მეშოვა. ყველა მპირდებოდა, რომ დამირეკავდნენ, მაგრამ ამდენი წლის შემდეგაც კი არ მიმიღია პასუხი.

ვასიკო დღეს თავისი მეგობრების იმედზეა. ისინი ყოფილი კლასელები და სამსახურის ძველი მეგობრები არიან: ამირან ბიჭაშვილი, მამუკა ჭელიძე, ირინე ქორაშვილი, და ალეკო ახვლედიანი. ის ბედნიერია და გახარებული მეუბნება თავისი მეგობრების ამ სიას, რომლებიც ძალიან ეამაყება.

– ცხოვრებასთან გამოცხადებული ომი ჯერ არ წამიგია, ისევ ვიბრძვი და მინდა მჯეროდეს, რომ ნაყოფს გამოიღებს.

# ბიძინა გუჯაბიძე: „ხელისუფლების დადანაშაულება დიქტატურაში აბსურდია“

## „იმედია, ნარკობიზნესის მთავარ ბოროტმოქმედებსაც მიადგებიან“

მარიამ მჭედლიშვილი

თბილისის ღამის კლუბებში განხორციელებული სპეცოპერაციის გარშემო შექმნილ მდგომარეობაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატ ბიძინა გუჯაბიძეს.

***– ღამის კლუბებში ჩატარებული სპეცოპერაციის მოწინააღმდეგეებმა განაცხადეს, რომ ეს მზარდი დიქტატურის მაჩვენებელია.***

– ვინც ეს შეფასება გააკეთა, ეტყობა, სააკაშვილის რეჟიმთან მოახდინა ასოცირება. დიქტატურა, ხალხის დარბევა, წამება და ნულოვანი ტოლერანტობა ნაცმოძრაობის მმართველობისთვის იყო დამახასიათებელი. სააკაშვილს მაშინ დასავლეთიდანაც კარტბლანში ჰქონდა მიცემული დაუნდობელ ქმედებებზე. „ქართული ოცნება“ სააკაშვილივით არ იქცევა. შეიძლება ქვეყანაში ბევრი პრობლემაა მოუგვარებელი, მაგრამ დიქტატურასა და შიშის დათესვაში ამ ხელისუფლების დადანაშაულება აბსურდია. ამას არ მოიწონებს დასავლეთი. ახლა სხვა დროა. საერთოდ, ყველა ხელისუფლება ყოველთვის დგას ძალისმიერი მეთოდების გამოყენების ცდუნების წინაშე. შეუმცდარიც არავინაა, მაგრამ ძალიან გადაჭარბებული და არასწორია ის ბრალდებები, რომლებსაც ამ სპეცოპერაციის გამო ვისმენთ. „ქართულ ოცნებაში“ პორტირებული ნაცებიც არიან, თუმცა, ისინი ვერ ქმნიან ამინდს ამ მიმართულებით. მმართველი პარტია არ იმეორებს სააკაშვილის მეთოდებს.

***– საზოგადოების ნაწილი კითხვის ქვეშ აყენებს სპეცოპერაციის საჭიროებას სპეცრაზმის გამოყენებით.***

– ნარკობიზნესთან, ნარკოტიკების გასაღებასთან ბრძოლა აუცილებელია. რა მასშტაბის ღონისძიება უნდა ჩატარებულიყო, ამას გამოძიება გაარკვევს. სპეცოპერაციას ამ მოჰყოლია ვინმეს დაშავება. სპეცრაზმელის ხელი თუ შემთხვევით ვინმეს მსუბუქად მოხვდა, ეს სახმაურო არ უნდა იყოს. დაკავებულია 8 ნარკოდილერი. მათ ჰყავთ ბოსები. იმედია, ნარკობიზნესის მთავარ ბოროტმოქმედებსაც მიადგებიან. საზოგადოებას გავლენიანი დამნაშავეების დაკავება ეჩქარება, მაგრამ ერთ დღეში ეს შეუძლებელია. ყველაფრის გაბუქება, რასაც ამ ორი დღის განმავლობაში ვხედავთ, წინა წლებში დამკვიდრდა. ამის მკაფიო მაგალითია ჩიორა თაქთაქიშვილთან დაკავშირებული ფაქტი.

***– ჩიორა თაქთაქიშვილს მაშინ მართლაც მიაყენეს დაზიანება.***

– ეს სამწუხარო შემთხვევაა, რომელიც ჩაიდინა ერთმა გამწარებულმა მოქალაქემ. სახელმწიფო არაფერ შუაშია. ნაციონალებმა ეს შემთხვევა იმ დონეზე აიყვანეს, რომ სახელმწიფო პოლიტიკად მონათლეს. როცა უცხოელი სტუმრები ჩამოდიოდნენ, ჩიორა თაქთაქიშვილს სასწრაფოდ მიაწვენდნენ ხოლმე საწოლში, რომ ეჩვენებინათ, თუ როგორი დაზარალებულია ოპოზიციური ნაცმოძრაობის წევრი. ყოფილა შემთხვევა, რომ საჩქაროდ სადაც დაწვენილი ჩიორა თანაპარტიელებსაც ვერ უპოვიათ.



„პროტესტანტები ნაციონალებმა წააქეზეს“

***– სპეცოპერაციის მოწინააღმდეგეები პოლიტიკურ მოთხოვნებს აყენებენ. მთავარი მოთხოვნები პრემიერისა და შს მინისტრის გადადგომაა.***

– ეს ადამიანები პოლიტიკურ მოძრაობას ვერ წამოიწყებენ. მათ პროტესტში პოლიტიკური სიმპტომები არის, მაგრამ პოლიტიკური საპროტესტო აქციები მაინც არ გამოუვათ. დარწმუნებული ვარ, პროტესტანტები პოლიტიკური ლოზუნგების მხრივ ნაციონალებმა წააქეზეს. უფრო მეტად იაქტიურებდნენ ისინი, ვისაც ისევ ნაციონალური მოძრაობა ჰქვია. მათგან გამოყოფილი გირჩიც საკმაოდ აგრესიულად გამოიყურება. სხვებსაც აქვთ პოლიტიკური პროცესების აგორების სურვილი. ამის შანსი, ფაქტობრივად, არ არსებობს.

***– რატომ? ნაციონალური მოძრაობა დასუსტდა?***

– ნაცმოძრაობის მიერ მოწყობილი თუ წახალისებული პროვოკაციები მის აგონიაზე მეტყველებს. ნაციონალები ამისათვის არასამთავრობო სექტორსაც იყენებენ და სხვადასხვა ჯგუფსაც. ამ პარტიის ლიდერები და დამფინანსებლები საზღვარგარეთ იმყოფებიან. იმისათვის, რომ მორიგი დაფინანსება გაამართლონ, ნაციონალები შეძლებისდაგვარად ფაფხურობენ. დიდი ალბათობით, ისინი უკმაყოფილო საზოგადოების წევრებს აქეზებენ, რომ მათ პოლიტიკური მოთხოვნები წამოაყენონ. მათ აბრიყვებენ – იმისათვის, რომ შედეგს მიაღწიოთ და უცხოეთიდანაც გამოხმაურება გქონდეთ, ეს მოთხოვნები უნდა წამოაყენოთო.

ახლა მთავარია, ხელისუფლებამ, სამართალდამცავმა ორგანოებმა დაწყებული საქმე წარმატებით დააგვირგვინონ და ნარკობოსებსაც აგებინონ პასუხი. ნარკომაფიასთან ბრძოლა ძნელია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამისათვის ელექტრონული ქსელებიც გამოიყენება, მაგრამ რისი გაკეთებაც შეიძლება, ის უნდა გაკეთდეს. ნარკობოსებს საზოგადოებაში მსუყედ დაფინანსებული ჯგუფები ჰყავთ. ისინი მათ სურვილებს ასრულებენ. ხელისუფლებამ თანმიმდევრულად უნდა იმოქმედოს.

# ზურაბ გვასალია: „შეზღუდვები ყოველთვის ახდენს გავლენას ეკონომიკურ განვითარებაზე“



რადიო კომერსანტის გადაცემაში „კომერსანტის თემა“ ბანკების ასოციაციის პრეზიდენტმა ზურაბ გვასალიამ საფინანსო სექტორში არსებულ ახალ რეგულაციებთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა.

მისი თქმით, რეგულაციები გარკვეულ ცვლილებებს გამოიწვევს საბანკო სექტორში.

– ახალი რეფორმები საბანკო სექტორისთვის ბიზნესმოდელების გადაწყობას გულისხმობს. ყველა რეფორმას ახლავს თავისი სირთულე, თუმცა ვიმედოვნებ, რომ ეს სირთულეები იქნება მხოლოდ დროებითი. შეზღუდვები ყოველთვის ახდენს ზეგავლენას ეკონომიკურ განვითარებაზე. ამ ყოველივეს ეროვნული ბანკიც პროგნოზირებს, როცა აცხადებს, რომ ეკონომიკური განვითარების 0,6%-იან შემცირებას უნდა ველოდოთ. თუმცა, ეს არის მუშა პროცესი და ყველანი მონდომებულები ვართ, რომ დიდი დანაკლისი არ ვიგრძნოთ პირველივე ეტაპზე, – ამბობს ზურაბ გვასალია.

კომერსანტი

# სერგი გვარჯალაძე: „დღეს ღამის ეკონომიკაზე საუბარი წარმოუდგენლად მიმაჩნია“



ჩემი დაჟინებული რჩევაა, სასწრაფოდ მოხდეს გუშინდელი ღამის ოპერაციის დეტალური განმარტება, დაიწყოს დიალოგი, თუნდაც განსხვავებული პოზიციების მატარებელ, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა ადამიანებთან, რომლებიც დღესაც იბრძვიან თანამედროვე და თავისუფალი ქვეყნის მომავლისთვის.

ამის შესახებ „ღამის თბილისის ეკონომიკის“ ხელმძღვანელი სერგი გვარჯალაძე „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე წერს.

— მეგობრებო, საჭიროდ ვთვლი, კიდევ ერთხელ დავაფიქსირო ჩემი პოზიცია მომხდართან დაკავშირებით. ის, რაც მოხდა და რასაც მთელი ღამის მანძილზე თვალს ვადევნებდი ადგილზე, აბსოლუტურად გაუგებარია და დამაზიანებლად მიმაჩნია თითოეული ჩვენგანისთვის; პირველ რიგში ადამიანებისთვის, რომლებიც საცეკვაოდ მივიდნენ პარასკევ ღამეს კლუბებში და მთელი ღამე ან პოლიციაში ან ქუჩაში პროტესტში გაატარეს. ასევე, ეს ფაქტი დამაზიანებელია პოლიციის რეპუტაციისთვის, რომელსაც ვფიქრობ, ბევრად უმტკივნეულოდ შეეძლო მსგავსი ოპერაციის ჩატარება. თუ სამი თვის მანძილზე მიმდინარეობდა ოპერატიული სამუშაოები, ამ 8 ადამიანის დაკავება ნაკლებად ხალხმრავალ ადგილას იყო შესაძლებელი, ისე რომ ასეთი მღელვარება არ გამოეწვია ამ პროცესს. დაზარალდა ჩვენი ქვეყნის რეპუტაცია, რომელსაც რეგიონში ერთ-ერთ პროგრესულ და თავისუფალ ქვეყანად იცნობენ. სამწუხაროდ, მე დღესაც არ მაქვს პასუხები და კომუნიკაცია გუშინდელ ღამესთან დაკავშირებით. ჩემი დაჟინებული რჩევაა, სასწრაფოდ მოხდეს გუშინდელი ღამის ოპერაციის დეტალური განმარტება, დაიწყოს დიალოგი, თუნდაც განსხვავებული პოზიციების მატარებელ, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა ადამიანებთან, რომლებიც დღესაც იბრძვიან თანამედროვე და თავისუფალი ქვეყნის მომავლისთვის. ამ მოცემულობაში, ცხადია, ღამის ეკონომიკის განვითარებაზე საუბარი წარმოუდგენლად მიმაჩნია დღეს, თუ ეს წინააღმდეგობები არ გადავლახეთ, — წერს სერგი გვარჯალაძე.

**კომერსანტი**

# ლელა წიკლაური: „სახელმწიფოს სოციალური პროგრამების მიზანი სიღარიბის დაძლევა უნდა იყოს“

დედაქალაქსა და საქართველოში უფასო სასადილოების ბენეფიციართა მომსახურების წესსა და მათ აღრიცხვაზე ისაუბრეს რადიო კომერსანტის გადაცემაში „სოციალური ჭრილი“ თეონა ჭალიძესთან და სერგო ჩიხლაძესთან ერთად. გადაცემის სტუმარი სახალხო დამცველის წარმომადგენელი ლიკა წიკლაური იყო.

ლიკა წიკლაურის თქმით, ბენეფიციარების მიერ უფასო სასადილოებით სარგებლობის წესი მრავალ ხარვეზს შეიცავს.

— პირველ რიგში, ბენეფიციართა სიის შედგენა საჭიროებს ცვლილებებს, ვინაიდან, არ ხდება იმ ბენეფიციართა დაკმაყოფილება, ვისაც უფრო მეტი საჭიროება აქვს უფასო სასადილოების მომსახურების. დღევანდელი წესით, აღირიცხებიან ისინი, ვისაც პირველს შეაქვს განაცხადი. შესაბამისად, არის უამრავი შემთხვევა, როდესაც აღნიშნულ სიაში ვერ ხვდებიან ისეთი სოციალურად დაუცველი ადამიანები, რომლებსაც უფრო დაბალი სარეიტინგო ქულა აქვთ, ვიდრე სიაში მყოფებს.

2017 წლის სახალხო დამცველის ანგარიშში არსებულ პრობლემასთან დაკავშირებით სახალხო დამცველის რეკომენდაციაა, პრიორიტეტი მიენიჭოს საჭიროების კრიტერიუმს და არა იმას, თუ ვინ პირველი მიმართავს განცხადებით, — ამბობს ლიკა წიკლაური.

ლიკა წიკლაურმა ასევე განაცხადა, რომ 2018 წელს სოციალურად დაუცველთა პროგრამებისთვის ბიუჯეტი 2 მილიონი ლარით გაიზარდა. თუმცა არ გაზრდილა უფასო სასადილოებით მომსახურების ხარისხი. მისი თქმით, ტენდერით გამარჯვებული კომპანიების არაკეთილსინდისიერი საქმიანობით აუცილებლად უნდა დაინტერესდნენ შესაბამისი უწყებები.

გადაცემის მსვლელობისას სატელეფონო ჩართვით იმყოფებოდა ერთ-ერთი ბენეფიციარი, რომელმაც სასადილოებში არსებული საკვების ხარისხისა და პერსონალის მხრიდან უხეშად მოპყრობის ფაქტებზე ისაუბრა.

— სახელმწიფოს მიერ გატარებული სოციალური პროგრამების მიზანი უნდა იყოს სიღარიბის დაძლევა, — ამბობს ლიკა წიკლაური.

მისი თქმით, წესი, რომლის თანახმადაც, მას შემდეგ, რაც სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრი მუშაობას დაიწყებს, ოჯახს ქულები ეზრდება, შესაცვლელია.

— სოციალურად დაუცველ ოჯახებში შრომისუნარიანი პირები არ იწყებენ მუშაობას, რადგან ისინი დგანან სოციალური დახმარების დაკარგვის საფრთხის წინაშე. რაც პირველ რიგში, ხელს უშლის მათ მიერ სიღარიბის დაძლევას. ჩვენი რეკომენდაციაა, სოციალურად დაუცველ ადამიანებს სამსახურის დაწყებიდან რამდენიმე თვის განმავლობაში შეუნარჩუნდეთ არსებული ქულები და კვლავ ისარგებლონ სატრანსპორტო შეღავათებითა და ჯანდაცვის პროგრამებით, — ამბობს ლიკა წიკლაური.

**კომერსანტი**



# „ჯეომილი“: „საქართველოში მუშაობა გვიჭირს, რადგან კონკურენცია მაღალია“

ხორბლის ქართული ფქვილი, რომელსაც კომპანია „ჯეომილი“ აწარმოებს, აფრიკის რამდენიმე ქვეყანასა და ერაყში ექსპორტზე უკვე ოთხი წელია გადის.

კომპანია ქართულ ბაზარზე 2005 წელს გამოჩნდა, რამდენიმე წელიწადში გაფართოვდა. დღეს, მისი წარმოებული პროდუქციის 15-20% საექსპორტოა, დანარჩენი კი ადგილობრივ ბაზარზე იყიდება.

კომპანია „ჯეომილის“ გენერალური დირექტორი ბესიკ ბეჟაშვილი „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ „ჯეომილი“ ხორბლის ფქვილის მწარმოებელი ერთადერთი ქართული კომპანიაა, რომელსაც პროდუქცია ექსპორტზე გააქვს.

— კომპანია 2005 წელს დაარსდა. 2013 წელს რეორგანიზაცია მოხდა, დამფუძნებლები შეიცვალნენ, სახელიც შეიცვალა და „ჯეომილი“ დაერქვა. გარდა ამისა, დანადგარებიც გავაუმჯობესეთ. საქართველოში ხორბალი იმ რაოდენობის არ არის, რომ წარმოებას ეყოს. ამიტომაც ხორბალი არის იმპორტული, რუსეთიდან შემოგვაქვს. ხორბლის ფქვილი ექსპორტზე მხოლოდ ჩვენ გაგვაქვს აფრიკის ქვეყნებში, ძირითადად, კონგოსა და ანგოლაში და ერაყში.

ექსპორტი 2014 წელს დავიწყეთ. თავდაპირველად, ფქვილის ექსპორტზე გატანა არ გაგვჭირვებია. ეს ქვეყნები შეირჩა იმიტომ, რომ მოთხოვნა იყო. თავად მოვძებნეთ აღნიშნული ბაზრები. მათთვის ჩვენს მიერ წარმოებული ფქვილის ხარისხი და ფასი მისაღები აღმოჩნდა. ჩვენ კონკურენციაში შევედით და სხვა ქვეყნების მიერ წარმოებულ ფქვილებზე მეტი მოწონება დავიმსახურეთ. ყოველ წელს რაოდენობას ვუმატებთ. ჩვენს მიერ წარმოებული პროდუქციის 15-20% ექსპორტზე გადის, ანუ თვეში 2000 ტონა, დანარჩენი კი ქვეყანაში რჩება და ადგილობრივ ბაზარზე იყიდება, — აცხადებს ბეჟაშვილი.

მისივე თქმით, ექსპორტისგან განსხვავებით, ადგილობრივ ბაზარზე



ოპერირება სირთულეებთან არის დაკავშირებული.

— ადგილობრივი ბაზარი საკმაოდ რთული ფენომენია. ბევრი მწარმოებელია, მცირე და მსხვილი და პროდუქციაც ბევრია. ამ ბაზარზე მუშაობა ყველას გვიჭირს, რადგან კონკურენცია მაღალია. ჩვენ აქცენტს ხარისხზე ვაკეთებთ. სირთულის მიუხედავად, კონკურენციამ დადებითი შედეგიც მოუტანა ბაზარს — ფქვილის ფასი საკმაოდ დაბალია რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით და ბაზარი ქართული ფქვილით არის გაჯერებული, — განმარტავს „ჯეომილის“ დირექტორი.

მისივე განცხადებით, ბოლო წლებში „ჯეომილმა“ და სხვა ქართველმა მწარმოებლებმა შეძლეს ის, რომ ხორბლის ფქვილის იმპორტი მნიშვნელოვნად „შეავიწროვეს“.

— ბოლო ოთხი წელიწადია, რაც წარმოება უფრო მასშტაბურად დავიწყეთ. ჩვენს გარდა, ბაზარზე არაერთი კომპანიაა, ვისაც მსგავსი პროდუქცია აქვს, როგორც წვრილი, ასევე მსხვილი. ჩვენ ყველამ შევძელით ის, რომ იმპორტი საგრძნობლად „შევავიწროვეთ“. ქართულ ბაზარზე იმპორტირებული ხორბლის ფქვილის წილი საკმაოდ დიდი იყო. შემოდიოდა რუსული, უკრაინული, ყაზახური, აზერბაიჯანული პროდუქცია. თვეში დაახლოებით 1500 ტონა შემოდის, წლების წინ კი 10 000 ტონა შემოდიოდა, — აღნიშნავს ბესიკ ბეჟაშვილი.

მისივე ინფორმაციით, ამ ეტაპზე კომპანიას ბათუმში იჯარით აქვს აღებული ფართი, სადაც ხორბლის წარმოება ხდება, თუმცა სამომავლოდ აპირებენ, რომ ზღვისპირა რეგიონში საკუთარი საწარმო ააშენონ და პორტის საშუალებით პროდუქციის ლოჯისტიკა უფრო მოსახერხებელი გახდება.

ბესიკ ბეჟაშვილის თქმით, „ჯეომილში“ 120 ადამიანია დასაქმებული. საწარმო ლილოში მდებარეობს. მაღალი ხარისხის გერმანული და შვეიცარული დანადგარებით არის აღჭურვილი ლილოში. ძირითად საქმეს დანადგარები ასრულებს, ადამიანის ფაქტორი მცირეა.

ხორბლის ფქვილის ქართული მწარმოებელ კომპანია „ჯეომილს“ რამდენიმე დამფუძნებელი ჰყავს, მათ შორის, როგორც ქართველები, ასევე კანადისა და ინდოეთის მოქალაქეები.

**ბპნ**

# რამდენად სასურველია საქართველო უცხოელებისთვის სამუშაოდ, სასწავლებლად ან საცხოვრებლად

ქართველები რეგიონში ყველაზე კრიტიკულად აფასებენ სხვებისთვის საკუთარი ქვეყნის სასურველობას. ამის შესახებ „აიფიემის“ კვლევაშია აღნიშნული.

კერძოდ, საქართველოში გამოკითხულთა 21%-ის აზრით, საქართველო უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ცხოვრების/მუშაობის/სასწავლო მიზნით გადმოსვლისთვის სასურველი ქვეყანა არ არის.

კვლევის ფარგლებში, რესპონდენტებმა საკუთარი ქვეყანა სხვა ეროვნების ადამიანების თვალთახედვით შეაფასეს. კერძოდ, 1.200-მა რესპონდენტმა უპასუხა კითხვას, მათი აზრით, რომელი ეროვნების ადამიანებისთვის იქნებოდა მათი ქვეყანა მიმზიდველი ადგილი საცხოვრებლად, სამუშაოდ ან სასწავლო მიზნებისთვის.

კვლევის შედეგების თანახმად, ქართველების 26%-ის აზრით, საქართველოში ხანგრძლივი დროით ყოფნა ყველაზე მეტად გერმანელებისთვის არის მიმზიდველი. თუმცა, ამის საპირისპიროდ, ხანგრძლივი ვიზიტით ყველაზე ხშირად, საქართველოს რუსები სტუმრობენ.

ქართველების აზრით, გერმანელების შემდეგ, საქართველო ყველაზე საინტერესოა ამერიკელებისთვის (22%). ასევე გამოკითხულთა 18%-ის შეფასებით, ჩვენი ქვეყანა ფრანგებისთვის; 17%-ის თქმით კი ბრიტანელებისთვისაც საკმაოდ მიმზიდველია მუდმივი/დროებითი ცხოვრების, სამუშაო ან სასწავლო მიზნებისთვის.

„მიგრაციის საკითხთა ეროვნული კომისიის მონაცემებით, 2016 წელს საქართველოში შემოსულ იმიგრანტთა-



გან მხოლოდ 1,5% იყო აშშ-ის მოქალაქე, ხოლო გერმანელი იმიგრანტების რიცხვი კიდევ უფრო მცირე იყო.

რეალურად, საქართველოში ხანგრძლივი ვიზიტით სტუმრობა მეტად ტიპური აღმოჩნდა მეზობელი ქვეყნების მოქალაქეებისთვის, ვიდრე იმ ეროვნებების წარმომადგენლებისთვის, რომლებისთვისაც ქართველების შეფასებით, საქართველოში ხანგრძლივი ვიზიტით ჩამოსვლა ყველაზე კომფორტული უნდა ყოფილიყო. საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილის მიხედვით, საქართველოს საზღვარს ყველაზე ხშირად მეზობელი ქვეყნების მოქალაქეები კვეთდნენ. მათგან ყველაზე მეტი რუსი (26%), თურქი (15%) და სომეხი (14%) ვიზიტორები იყვნენ.

საქსტატის მეთოდოლოგიის მიხედვით, იმიგრანტად მიიჩნევა ნებისმიერი პირი (მოქალაქეობრივი კუთვნილების მიუხედავად), რომელმაც: 1. გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი და ბოლო 12 თვეში, სულ მცირე, 183 დღე იმყოფებოდა საქართველოს ტერიტორიაზე და 2. საქართველო არ იყო მისთვის მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა, — აღნიშნულია კვლევაში.

**ბპნ**

# მიხეილ ჭელიძე: „მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ძირითადი სირთულე გარანტიების არარსებობა და მათი მოპოვებაა“

მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ ფინანსებზე ხელმისაწვდომის გაზრდის მიზნით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო საგარანტიო ახალ რეფორმაზე იწყებს მუშაობას. ახალი ინიციატივით, შეიქმნება ფონდი, რომელიც მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ აღებული კრედიტების უკან დაბრუნების გარანტორი იქნება.

მცირე და საშუალო ბიზნესსაწარმოთა ასოციაციის პრეზიდენტი მიხეილ ჭელიძე რადიო კომერსანტის გადაცემაში „კომერსანტის თემა“ დადებითად აფასებს მთავრობის ახალ ინიციატივას. მისი თქმით, წლების განმავლობაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ძირითად სირთულეს გარანტიების არარსებობა და მათი მოპოვება წარმოადგენდა.



— ეს ინიციატივა გამოიწვევს საპროცენტო განაკვეთების შემცირებას, ვინაიდან დაზღვეული იქნება სახელმწიფოს მხრიდან რისკები და, თუ რისკები შემცირდება, შემცირდება პროცენტის რაოდენობაც.

ახალი ინიციატივა და არსებული რეგულაციები ცალსახად დააჩქარებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, პირველ რიგში, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მცირე მეწარმეობა უფრო პოპულარული გახდება და მეტ ადამიანს ექნება შესაძლებლობა, დაიწყოს და განავითაროს ბიზნესი, — ამბობს მიხეილ ჭელიძე.

**კომერსანტი**

# შინაგან საქმეთა სამინისტრომ 9 კილოგრამი ჰეროინი, 1 კილო და 200 გრამი კოკაინი და ბუპრენორფინის შემცველი 5.000 აბი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტრო, მთავარ პროკურატურასთან ერთად, კვლავ აქტიურად განაგრძობს ნარკოდანაშაულისა და ნარკოტიკების გასაღების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლას. ბოლო პერიოდში სამართალდამცველებმა ნარკოდანაშაულის არაერთი ფაქტი გახსნეს და ათობით ნარკორეალიზატორი დააკავეს.

ამჯერად, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა სასაზღვრო გამშვები პუნქტი „ვალეს“ მიმდებარე ტერიტორიაზე საქართველოში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემოტანის ფაქტი აღკვეთეს. დაკავებულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე, რომლის პირადი ჩხრეკისას ამოღებულია 1 კილო და 500 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰაშიში“. ჩადენილი დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ირანის რესპუბლიკის ორი მოქალაქე დააკავეს. ამოღებულია 730 გრამი ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი და 14 აბი „მეტადონი“. დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.



პოლიციამ, ასევე, ირანის მოქალაქე დიდი ოდენობით „ჰაშიშის“ შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავა. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის კუთვნილი ავტომობილის ჩხრეკისას, 2 შეკვრად დაფასოებული ჰაშიში ამოიღეს, რომელიც, ექსპერტიზის დასკვნით, 1,4823 გრამ ტეტრაჰიდროკანაბინოლს შეიცავს.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიმდინარე წლის 1-ლი იანვრიდან 10 მაისამდე, მთელი ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, უკანონო ბრუნვიდან ამოიღო განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალება: 9 კილომდე ჰეროინი, 1 კილო და 200 გრამი კოკაინი, 500 გრამი ახალი ფსიქოაქტიური და ფსიქოტროპული ნივთიერება, მათ შორის, ბუპრენორფინის შემცველი 5 000 აბი, ასევე, 1 კილო და 700 გრამი სინთეტიკური ნარკოტიკული საშუალება „მდმა“ და 850 გრამი სხვადასხვა სახის ფსიქოტროპული ნივთიერება.

# სამართალდამცავთა მიერ ღამის კლუბებში რეიდები ყველა ქვეყანაში ტარდება

ქართველ სამართალდამცავთა მიერ ღამის კლუბებში რეიდს სხვადასხვაგვარი რეაქცია მოჰყვა. ბევრს მიაჩნია, რომ ეს ადამიანთა უფლებების უხეში დარღვევაა, თუნდაც ნარკობარიგა იქნეს აყვანილი.

მსოფლიოს მედიასაშუალებები ანალოგიური რეიდების შესახებ გასულ კვირას წერდნენ.

„ამნეზიაში“ რეიდი ჩაატარეს და კლუბის მეპატრონე დააკავეს.

ესპანურმა გამოცემამ „დიარიო დე იბიცა“-მ გაავრცელა ინფორმაცია, რომ გამთენიისას, ესპანურმა პოლიციამ ჩაატარა რეიდი იბიცას ერთ-ერთ ყველაზე დიდი ისტორიის მქონე კლუბ „ამნეზიაში“ და ოთხი პირი დააკავეს. დაკავებულთა შორის კლუბის მეპატრონეცაა. ესპანელი სამართალდამცველები იბიცაზე ვერტმფრენით ჩაფრინდნენ. სპეცოპერაციის დროს კუნძულზე მასშტაბური წვეულება იმართებოდა და მსოფლიოს ცნობილი არტისტები უკრავდნენ.

ხელისუფლებაზე დაყრდნობით, ესპანური მედია აცხადება, რომ აღნიშნული რეიდი ანტინარკოტიკული ოპერაციის ნაწილი იყო.

* * *

მიუნხენის ორ კლუბში პოლიციამ ჯამში 19 პირი დააკავა. მათ MDMA, ამფეტამინი და სხვა ნარკოტიკები ჰქონდათ.

როგორც მიუნხენის პოლიციამ განაცხადა, სამშაბათს, შაბათ-კვირის განმავლობაში, ნარკოდანაშაულთან დაკავშირებით ორ კლუბს გაუწიეს მონიტორინგი.

დაპატიმრებულების ასაკი 17-39 წელია.




დაკავებულები საპოლიციო მოქმედებების შემდეგ გაათავისუფლეს.

* * *

პოლიციამ კლუბი ნარკორეიდის შემდეგ დაკეტა

ლივერპულის ღამის კლუბი, სადაც „ა კლასის“ ნარკოტიკი უკანონოდ, ღიად იყიდებოდა, პოლიციის ღამის რეიდის შემდეგ დაიხურა.

მერსერაიდის პოლიცია აცხადებს, რომ 140 ოფიცერი შევიდა გარლანდსის კლუბში, რომელშიც ამ დროს დაახლოებით 200 სტუმარი იმყოფებოდა.

ნარკოტიკების ფლობასა და გასაღებაში ორი ეჭვმიტანილი დააკავეს – 19 და 20 წლის.

პოლიციამ მიმართა სასამართლოს განჩინებისთვის კლუბის დასახურად. სამსართულიანი შენობის ჩხრეკის შედეგად ნაპოვნია დიდი ოდენობით ნივთიერება, რომელიც, პოლიციის აზრით, ნარკოტიკია. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში გარლანდსი გახდა ფართო პოლიციური ოპერაციის მთავარი ობიექტი, რა დროსაც უკანონო ნარკოტიკის ამოღება მოხდა.

პოლიციის შეფმა ჯონ გარდმა განაცხადა, რომ პოლიციას არ ჰქონდა სხვა გამოსავალი, გარდა იმისა, რომ კლუბი დაეკეტა.

– ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ოფიცრებმა აღმოაჩინეს, რომ აქ „ა კლასის“ და სხვა სახის ნარკოტიკული ნივთიერებები იყიდებოდა. ნათელია, რომ ეს დაწესებულება ვერ აკმაყოფილებს იმ მაღალ სტანდარტებს, რომლებიც ამ ქალაქში მოქმედ სხვა ლიცენზირებულ დაწესებულებებს გააჩნიათ.

* * *

ლონდონში, 20 წლის ლეა ბეთსის სიკვდილის შემდეგ, რაც რაქელის ღამის კლუბში ექსტაზის მოხმარებამ გამოიწვია, ღამის კლუბებში მასობრივი რეიდები განხორციელდა. მათ შორის იყვნენ ყველაზე ცნობილი და მსხვილი კლუბები „უტოპია“ და „ფაბრიკა“ . რეიდები აღნიშნული კლუბების დახურვით დასრულდა.

მიუხედავად იმისა, რომ კლუბი „ფაბრიკა“ თავისი არსებობის 17 წლის განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობადი ბრენდი გახდა ელექტრონული მუსიკის სფეროში, ამან ხელი არ შეუშალა სასამართლოს, მისთვის ლიცენზია ჩამოერთვა. პროცესზე კლუბის მფლობელი აცხადებდა, რომ 17 წლის განმავლობაში კლუბში მხოლოდ 6 ადამიანი იყო გარდაცვლილი, მაგრამ მისი არგუმენტები არავინ შეისმინა.

ბრიტანული მედიის ცნობით, 2 წლის წინ ლონდონის ათეულ კლუბში, კერძოდ კი ესექსისა და სოფოლკის ღამის კლუბის ქსელებში მიმდინარეობდა ნარკოტიკების მასობრივი რეალიზაცია, ამ კლუბებს აკონტროლებდნენ ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფები და ნარკოდილერები.

# „დავით ბერბერაშვილმა და გიორგი ჭიჭინაძემ გიორგი სულხანიშვილი აწამეს და შეურაცხმყოფელი ვიდეო გადაუღეს“

შსს-ს მტკიცებით, ბიზნესმენმა დავით ბერბერაშვილმა, იმავე ბერბერამ, 25 წლის ახალგაზრდა სასტუმროში მოტყუებით მიიყვანა, ცემა და ღირსების შემლახველი ვიდეო გადაუღო.

გამოძიების მტკიცებით, ბიზნესმენი საკუთარ სასტუმროში მამაკაცს მეგობართან, გიორგი ჭიჭინაძესთან ერთად რამდენიმე საათის განმავლობაში აწამებდა.

სასტუმროს პერსონალი იხსენებს, რომ იმ დღეს ბიზნესმენის ოთახიდან ხმაური და გინების ხმა ისმოდა.

საქმის მასალების მიხედვით, ბიზნესმენი და მისი მეგობარი 25 წლის გიორგი სულხანიშვილს წამების შემდეგ დიდი ოდენობით თანხას სთხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მისი კადრების სოციალურ ქსელში გამოქვეყნებით ემუქრებოდნენ.

რა გახდა დანაშაულის მოტივი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურად არ განუცხადებია. „კურიერის“ ინფორმაციით კი დაპირისპირება ბიზნესმენ დავით ბერბერაშვილსა და გიორგი სულხანიშვილს შორის ბიზნესმენის შეყვარებულის გამო დაიწყო.

მათთან ერთად სამართალდამცველებმა ბიზნესმენის დაცვის უფროსი ბესო ჭანტურიძეც აიყვანეს, თუმცა, ის რამდენიმე საათში გაათავისუფლეს. ჭანტურიძე აცხადებს, რომ 26 აპრილს სასტუმროში იმყოფებოდა, თუმცა, 25 წლის ბიჭის წამების ფაქტს არ შესწრებია.

ბიზნესმენი დავით ბერბერაშვილი წარსულში არაერთი დანაშაულისთვის არის ნასამართლევი და ახლაც პირობითი მსჯავრის ქვეშ იმყოფება. სასჯელაღსრულების დაწესებულება ერთი წლის წინ დატოვა ამავე საქმეზე დაკავებულმა გიორგი ჭიჭინაძემაც.



სამართალდამცველებმა სასტუმროს ნომრიდან, სადაც ჭიჭინაძე ცხოვრობდა, „ნაგანის“ სისტემის პისტოლეტი და საინექციოდ გამზადებული ნარკოტიკული ნივთიერება ნივთმტკიცებად ამოიღეს.

# შვილების საფლავებს ამოვთხრით! გიორგი ხაჭაპურიძისა და ზვიად სალთხუციშვილის ოჯახები პროკურატურას ულტიმატუმს უყენებენ

ბათუმში განსაკუთრებული სისასტიკით მოკლული მოდელისა და მომღერლის ოჯახები პოლიციას ბრალდებულების მფარველობაში ადანაშაულებენ. გიორგი ხაჭაპურიძისა და ზვიად სალთხუციშვილის მშობლები ამტკიცებენ, რომ პროკურატურა ცდილობს, რაც შეიძლება, მსუბუქი სასჯელით გამოიყვანოს ბრალდებულები.



მოკლული მომღერლის დედა პროკურატურას ვადას 16 მაისამდე აძლევს. თუ დაკავებულებს ბრალს არ დაუმძიმებენ, გიორგი ხაჭაპურიძის ოჯახი შვილს საფლავიდან ამოთხრის და ცხედარს სასამართლოს დარბაზში დაასვენებს.

მუხლი, რომლითაც ახლა მომღერალ გიორგი ხაჭაპურიძის და მოდელ ზვიად სალთხუციშვილის მკვლელობაში ბრალდებულებს ასამართლებენ, უვადო პატიმრობას არ ითვალისწინებს, რაც ოჯახის პროტესტის მიზეზი ხდება.

გარდაცვლილის მამა, ანტონ ხაჭაპურიძე, შვილის მკვლელობის მოტივად ქურდობას ასახელებს.

ნაქირავები სახლიდან, სადაც მკვლელობა მოხდა, წაღებულია 8.000 ლარი, ტანსაცმელი, მობილური ტელეფონები და 2 კომპიუტერი. პროკურატურა ამტკიცებს, რომ მკვლელობა მხოლოდ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოხდა და ანგარების მოტივი არ ყოფილა.

მოკლული მომღერლისა და მოდელის ოჯახი უკვე 10 თვეა, სამართალდამცველებს ბრალის დამძიმებას უშედეგოდ სთხოვს.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ მკვლელობის შემდეგ ბრალდებულებმა საქართველო დატოვეს და თურქეთში ერთ-ერთის დედასთან იმალებოდნენ. ერთ-ერთ ვერსიით, მიმალვაში მყოფ პირებს შს სამინისტროს თანამშრომელი გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას აწვდიდა.

ბრალდებულებისთვის სამუდამო პატიმრობას ითხოვს მოკლული ფოტომოდელის. ზვიად სალთხუციშვილის. ოჯახიც. გარდაცვლილის დედა პირველი იყო, რომელმაც მოკლული შვილი ნაქირავებ ბინაში საკუთარი თვალით ნახა.

მოკლული მოდელის დედა ამტკიცებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ უახლოეს დღეებში პროკურატურა დაკავებულებს მუხლს არ გადააკვალიფიცირებს, შვილს საფლავიდან, ხაჭაპურიძეების მსგავსად, ისიც ამოთხრის.

# ზუგდიდში ქალს სადარბაზოში თავს დაესხნენ

## წაღებულია 2.000 ლარი და 500 დოლარი

ზუგდიდში, ერთ-ერთი კორპუსის სადარბაზოში, ქალს თავს დაესხნენ.

როგორც „ნიუპოსტის“ კორესპონდენტს დაზარალებულმა განუცხადა, მძარცველებმა თავში ბლაგვი საგანი ჩაარტყეს, ჩანთა წაართვეს, სადაც 2.000 ლარი და 500 დოლარი ჰქონდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლით დაიწყო, რაც ძარცვას გულისხმობს.

# ვლადისლავ სურკოვი პოსტს ტოვებს?!



ვლადისლავ სურკოვი, რომელიც დონბასსა და უკრაინას კურირებდა, პოსტს დატოვებს. ამის თაობაზე ბიბისი იტყობინება.

– სურკოვის გადადგომის შესახებ ოფიციალურად ერთი კვირის შემდეგ გახდება ცნობილი, როცა პუტინი ახალ ადმინისტრაციას დააკომპლექტებს, – იტყობინება ბიბისი.

სურკოვს პუტინის წარმომადგენელი ვოლგისპირეთში ბაბიჩი შეცვლის. 2016 წელს პუტინი აპირებდა, დაენიშნა ის უკრაინაში რუსეთის ელჩად. უკრაინული მხარე ამას წინ აღუდგა. მიზეზი ბაბიჩის ექსპრეზიდენტ იანუკოვიჩთან მჭიდრო კონტაქტები იყო.

თავად სურკოვმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ პოსტზე დარჩენა თავად არ სურს. მისი აზრით, უკრაინა მინსკის შეთანხმებებს არ შეასრულებს, რუსეთს კი არ გააჩნია საკმარისი ბერკეტები, რათა ხელშეკრულებების შესრულება აიძულოს. დონბასის კონფლიქტიც გაიყინება.

– არავითარი სურვილი არ მაქვს, გაყინულ კონფლიქტთან მქონდეს საქმე, – თქვა სურკოვმა.

ექსპერტები პუტინის ფავორიტის გადაყენების უფრო პროზაულ მიზეზს ასახელებენ.

ვიტალი პორტნიკოვის აზრით, პუტინმა სურკოვს მოკლე და კონკრეტული დავალება მისცა: მინსკის შეთანხმებები უკრაინას უნდა შეესრულებინა, რუსეთს კი არა. კიევი დონბასისათვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭებაზე უნდა დათანხმებულიყო, ე.წ. მოლაშქრეებს კი სახალხო მილიციის სტატუსი უნდა მინიჭებოდათ. ასევე სეპარატისტებს უნდა დაჰკისრებოდათ რუსეთ-უკრაინის საზღვრის დაცვა. ისინი ფორმალურად უკრაინას დაექვემდებარებოდნენ. გარეგნულად ყველაფერი თითქოს რიგზე იქნებოდა, სინამდვილეში კი რუსეთი შეინარჩუნებდა თავის სამხედრო პროტექტორატს დონბასზე. გარკვეული დროის შემდეგ სეპარატისტები უკრაინის პარლამენტშიც დასხდებოდნენ და ქვეყნის ფედერალიზაციაც შეუფერხებლად გაგრძელდებოდა.

– ეს ჩაიშალა, ანუ სურკოვმა დავალება ვერ შეასრულა, – წერს პორტნიკოვი.

პრორუსული ორიენტაციის ექსპერტი მიხეილ პოგრებინსკი ეთანხმება მოსაზრებას, რომ სურკოვმა რუსეთის პრეზიდენტის დავალება ვერ შეასრულა.

პოგრებინსკის აზრით, რუსეთის აგრესია კიდევ უფრო გაიზრდება. პუტინიც უკრაინის სამხრეთის (ოდესა, ხერსონი, ნიკოლაევი) ოკუპაციას შეეცდება.

უკრაინის უშიშროების სამსახურის ექსშეფი, გენერალი იგორ სმეშკო, ამასთან დაკავშირებით აცხადებს:

– ვერ გეტყვით, რას მოიმოქმედებს მოსკოვი! ცხადია ერთი: ნებისმიერი მცდელობა, ჩამოაჭრან უკრაინას ოდესა, ხერსონი და ნიკოლაევი, მოსკოვისთვის კრახით დასრულდება!

სმეშკომ ხაზი გაუსვა, რომ უკრაინის სამხრეთი ნაწილის ოკუპაციას რუსეთის ფართომასშტაბიანი ინტერვენცია დასჭირდება.

– უკრაინაში ჯარის შემოყვანა შეიძლება, მაგრამ როგორ გავა ის აქედან? – თქვა სმეშკომ.

# სისხლიანი შემთხვევა პარიზში

პარიზში მორიგი სისხლიანი შემთხვევა მოხდა. უცნობი მამაკაცი გამვლელებს დანით დაერია. ის გაჰკიოდა: „ალაჰ აკბარ!“

მან რამდენიმე გამვლელი მძიმედ დაჭრა. ერთ-ერთი მათგანი გარდაიცვალა.

ტერორისტმა კაფეებში შეჭრა ცადა. პოლიცია იძულებული გახდა, ცეცხლი გაეხსნა. მამაკაცი ლიკვიდირებულია.

მოკლული ტერორისტი ჩეჩენი აღმოჩნდა.

მომხდარზე პასუხისმგებლობა ისლამურმა სახელმწიფომ აიღო.






# ინდონეზიაში ეკლესიები ააფეთქეს

ინდონეზიის კუნძულ იავაზე ტერაქტების მთელი სერია მოხდა.

ამჯერად ტერორისტების სამიზნე ეკლესიები გახდა. აფეთქებები კათოლიკურ და პროტესტანტულ ეკლესიებში მოხდა.

ტერორისტები მრევლს შორის იყვნენ. მათ ეკლესიაში ასაფეთქებელი მოწყობილობა შეიტანეს.

აფეთქების შედეგად დაღუპულია 9 ადამიანი, 40 დაშავდა. მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

# რომის პაპის ლამბორჯინი 715 ათას ევროდ გაიყიდა



რომის პაპის ლამბორჯინი მონაკოში სოტბის აუქციონზე 715 ათას ევროდ გაიყიდა.

აუქციონზე რომის პაპის გაყიდული ავტომობილის საფასურმა მის საბაზრო ფასს თითქმის ოთხჯერ გადააჭარბა. ლამბორჯინი ჰურაკანის ტიპის ავტომობილების საბაზრო ფასი 183 ათას ევროს შეადგენს.

ავტომობილის გაყიდვისგან მიღებული თანხები ქველმოქმედებაზე განაწილდება.

აღნიშნული ავტომობილი რომის პაპს 2017 წლის ნოემბერში აჩუქეს. პაპმა მაშინვე მიიღო გადაწყვეტილება, რომ მას აუქციონზე გაიტანდა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166.**
**მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ჩინელმა ძაღლის ბეწვის მოვლას ქონება დაახარჯა



ჩინეთის დედაქალაქ პეკინის მცხოვრებმა თავისი ძაღლის ბეწვის მოვლას თითქმის მეოთხედი მილიონი იუანი დაახარჯა.

29 წლის კევინ ჩანი, რომელიც პეკინში მარკეტინგის დირექტორად მუშაობს, ამტკიცებს, რომ 100 ათასი იუანი მისი ავღანური ჯიშის მწევრის, სახელად ბეტლის, მხოლოდ ბეწვის მოვლის საშუალებებში დაიხარჯა. გარდა ამისა, ყოველთვე ის 4,5 ათას იუანს ხარჯავს ძაღლისთვის განკუთვნილ შამპუნსა და კოსმეტიკურ საშუალებებში.

მამაკაცი ყოველდღე ძაღლის ბეწვს სპეციალურ მკვებავ ხსნარს ასხურებს, შემდეგ კი ვარცხნის და ბეწვის კვანძებს ხსნის. ამას კვირაში ექვსიდან რვა საათამდე დრო მიაქვს. ბეტლის თვეში სამ-ოთხჯერ ბანენ. ასეთ დღეებში მის მოვლაში კიდევ ექვსი-რვა საათი იხარჯება.

– როდესაც ბეტლი შედარებით პატარა იყო, დღეში ორ საათს მის დავარცხნაზე ვხარჯავდი, ახლა კი ამას ერთ საათში ვართმევ თავს, – ამბობს ჩანი, – მაგრამ ის ჩვენი ოჯახის წევრი გახდა. ასე რომ, სულაც არ მენანება მასზე დახარჯული ფული და დრო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

**სხვადასხვა**

● შევიძენ ნახატ სურათებს, წიგნებს, ძველ ნივთებს. ტელ: 598-43-98-57.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება, “პახმელიის“,ზაპოის“, აგრესიის და ყველანაირი გართულების მოხსნა. (შეგიძლიათ შეურიოთ საკვებში პაციენტისგან ფარულად) კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მკურნალობაა, მცენარეული, მაღალეფექტური, გარანტირებულად უსაფრთხო პრეპარატებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

# საბურთალო და ტორპედო იგებს, გორში მხოლოდ ლეგიონერებს გააქვთ

**საბურთალო-კოლხეთი 5:0**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

1:0 გვარაძე (23), 2:0 გორგიაშვილი (31), 3:0 ვაგნერ გონსალვესი (48), 4:0 ჯიმშელეიშვილი (64სკ), 5:0 ტატანაშვილი (80)

**საბურთალო:** კუპატაძე, მარგველაშვილი, რეხვიაშვილი, ლაკვეხელიანი, ჩაბრაძე, ელვინ ტერა (ალთუნაშვილი 66), გვარაძე, გორგიაშვილი (მამუჩაშვილი 59), ვაგნერ გონსალვესი (ტატანაშვილი 50), დიასამიძე, კოხრეიძე

**კოლხეთი:** პოლტავცევი, კილასონია, მახარაძე, გოგონაია , არზიანი (კაკულია 61), მიხაილოვი (ჩუბითიძე 68), კახელიშვილი (კვასოვი 57), ჯიმშელეიშვილი, იმნაძე, ჭეიშვილი, ტყემალაძე

დედაქალაქურმა საბურთალომ ფოთის კოლხეთს უმასპინძლა და არასაფეხბურთო ანგარიშით, 5:0 დაამარცხა. რომ არა მეტოქე გუნდის უკრაინელი მეკარე ანდრი პოლტავცევი, ანგარიში ბევრად დიდი იქნებოდა. ამ გამარჯვებით საბურთალომ სეზონში მეცხრე მოგებას მოუყარა თავი და კვლავინდებურად ლიდერობს ეროვნული ლიგის გათამაშებას.

5-ბურთიანი ჰანდიკაპით წლევანდელ პირველობაზე ჩიხურას ჰქონდა მოგებული, როდესაც პირველ ტურში სწორედ კოლხეთს აჯობა 6:1. ახლა კი იმავე სხვაობით საბურთალომაც იმარჯვა, თუმცა ისე, რომ კარი მშრალად შეინახა.

მატჩი თბილისელთა დიდი უპირატესობით წარიმართა. გიორგი ჭიაბრიშვილის შეგირდებმა, როგორც ყოველთვის, ლამაზი, სწრაფი, კომბინაციური ფეხბურთი აჩვენეს და ერთმანეთზე ლამაზი გოლებიც გაიტანეს.

პირველი ბურთი 23 წუთზე გავიდა: შეტევა ელვინ ტერამ წამოიწყო, რომელიც ვაგნერმა გააგრძელა და ჩაბრაძეს მოძებნა, ამ უკანასკნელმა კი – გორგიაშვილი, რომელმაც გამოზომილი პასი გვარაძეს გაუკეთა და მანაც გახსნა ანგარიში.

საბურთალო მალე 2 ბურთით დაწინაურდა, როდესაც გვარაძეს ვალი დაუბრუნა გორგიაშვილს და დასარტყმელ პოზიციაზე მყოფ საბურთალოელს არ გასჭირვებია შედეგიანი დარტყმის განხორციელება – 2:0.

ორბურთიანი სხვაობის შემდეგ დიასამიძესაც შეეძლო გატანა, მაგრამ მეკარემ არ გაატანინა. სხვათა შორის, დიასამიძეს მატჩის განმავლობაში რამდენჯერმე შეექმნა ხელსაყრელი ეპიზოდი, მაგრამ ამ დუელში ყოველთვის გამარჯვებული გოლკიპერი გამოვიდა.

მეორე ნახევარი ახალი განახლებული იყო, რომ მეტოქე გუნდის ფეხბურთელებმა საჯარიმოს ხაზთან კოხრეიძე წააქციეს. სტანდარტი ვაგნერ გონსალვესმა შეასრულა და მესამედ შეარხია კოლხეთის კარის ბადე. მეოთხე გოლი ქალაქელებმა ლამაზი კომბინაციის შემდეგ გაიტანეს – ტერა-დიასამიძე-გვარაძე-დიასამიძე-ტერას კომბინაციის შემდეგ, სტუმრებმა საკუთარ კარში ჩაჭრეს ბურთი. მატჩის საბოლოო ანგარიში კი დიმიტრი ტატანაშვილმა დააფიქსირა, რომელმაც ლუკა ლაკვეხელიანის ფლანგური ჩაწოდების შემდეგ კარგად ისარგებლა – 5:0.

**ტორპედო-რუსთავი 2:1**

**ქუთაისი. რამაზ შენგელია**

0:1 ხადარცევი (11), 1:1 კუხიანიძე (72პ), 2:1 კუტალია (87)

**ტორპედო:** კვასხვაძე, გრიგალაშვილი (ტაბატაძე 68), ხურცილავა, ჭიჭინაძე, ქიმაძე, გიგაური (ლიპარტია 46), მამასახლისი, წიქარიძე (კუხიანიძე 46), დოლიძე, კუტალია, კაპანაძე

**რუსთავი:** რევიშვილი, გეგეჭკორი, პაპავა, კობახიძე, ცარიკაევი, ცინცაძე, ფონიავა, გაბულოვი, კვირკვია (მიქელთაძე 55), ხადარცევი (ენდელაძე 86), მაქაცარია (ქავთარაძე 79)

**გაძევება:** ცარიკაევი (27)

მატჩი საინტერესოდ წარიმართა. პირველი ტაიმის პირველ ნახევარში რომელიმე გუნდის დიდ უპირატესობაზე საუბარი საკმაოდ რთულია. თუმცა, პირველი გოლის გატანა მაინც სტუმრებმა მოახერხეს. მე-11 წუთზე შეტევა გეორგი გაბულოვმა წამოიწყო და ბურთი წინ, ზურაბ მაქაცარიას გადააწოდა, რომელმაც მოხდენილი პასით ბართაზ ხადარცევს დაუტოვა ბურთი და რუსთაველთა ნახევარმცველმაც შეტევა ლამაზი გოლით დაასრულა.

10 წუთში გრიგოლ დოლიძესა და ტარას ცარიკაევს შორის არსებული შელაპარაკების გამო, ორივე ფეხბურთელმა არბიტრისგან ყვითელი ბარათი მიიღო. ეს საბედისწერო გამოდგა რუსთაველთათვის, რადგან მალევე რუსმა ფეხბურთელმა, იმავე დოლიძის წაქცევის გამო, მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მოედანი ნაადრევად დატოვა.

ამის შემდეგ ქუთაისელი ფეხბურთელები სრულ უპირატესობას ფლობდნენ. მასპინძლებს რამდენიმე ეპიზოდში გოლის გატანის შანსიც ჰქონდათ, მაგრამ ანგარიშის გათანაბრება მაინც ვერ შეძლეს. რუსთაველები კი, ძირითადად, ხადარცევის სისწრაფისა და წინ ეულად დარჩენილი მაქაცარიას იმედად იყვნენ, რომელიც პირველი ბურთის მოგებასა და შემდეგ შეტევის დაწყებას ცდილობდა.

მიუხედავად დიდი უპირატესობისა, ტორპედომ თამაშიდან გოლის გატანა მაინც ვერ შეძლო. 72-ე წუთზე



ქუთაისელებმა ანგარიშის გათანაბრება მხოლოდ თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან შეძლეს – არბიტრმა ხელით თამაშის გამო გეგეჭკორი დააჯარიმა. სტანდარტული მდგომარეობა გოლად გიორგი კუხიანიძემ აქცია.

გამარჯვების გოლი კი ლევან კუტალიამ გაიტანა: ერთ-ერთი მორიგი შეტევის დროს, ვაჟა ტაბატაძემ ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა, რომელსაც თავი თორნიკე კაპანაძემ დაუხვედრა. ბურთი თავდაპირველად ძელს მოხვდა და ასხლეტის შემდეგ კუტალიას მიუვიდა...

**სიონი-სამტრედია 1:1**

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

1:0 გურეშიძე (21), 1:1 ერისთავი (29პ)

**სიონი:** მუჯრიშვილი, მანაგაძე, ქორიძე, გურეშიძე, გიორბელიძე, ქიქავა (სამუშია 88), ხმალაძე, მანაგაძე, კოშკაძე (მიქაბერიძე 68), გაფრინდაშვილი (სიხარულია 76), დვალი

**სამტრედია:** მიგინეიშვილი, ჩაჩუა, ქარქუზაშვილი, კერძევაძე, ბაჩიაშვილი, დაუშვილი, სანია, გი, ერისთავი (ნინუა 84), კირკიტაძე (მესიაჩენკო 88), ხაბეიშვილი (ახალაძე 77)

**გაძევება:** კოშკაძე (81)

სიონი და სამტრედია სატურნირო ცხრილში ერთმანეთის მეზობლად იყვნენ და მატჩის ისე დასრულდა, რომ არაფერი შეცვლილა.

როგორც ბოლნისელები, ისე სამტრედიელები მიმდინარე სეზონში ქებას ნაკლებად იმსახურებენ – არც შედეგით, არც თამაშის ხარისხით. მათ მიერ ბოლოს ჩატარებულ თამაშებს თუ გადავავლებთ თვალს, ორივე გუნდი, ძირითადად, აქცენტს დაცვაზე აკეთებს და მათი მთავარი საზრუნავი კარის მშრალად შენახვაა. ეს უკანასკნელი, ბადრი კვარაცხელიას დანიშვნის შემდეგ, სამტრედიას კარგად გამოსდიოდა, მაგრამ გოლის გატანას ვერ ახერხებდა.

რეალიზაციის პრობლემა სიონსაც ჰქონდა, რომელმაც წინა 3 ტურში გოლის გატანა ვერ შეძლო. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, თამაში სანახაობრივად არცთუ საინტერესო უნდა ყოფილიყო, მაგრამ სტადიონზე მისულმა გულშემატკივარმა რამდენიმე კარგი შეტევა და დაძაბული თამაში იხილა. ორივე გუნდი ცდილობდა ამ დუელში გამარჯვებასა და 3 ქულის აღებას. არც ალექსანდრე კოშკაძის გაძევების შემდეგ შეცვლილა ბევრი რამ. ორივე გუნდი ჩვეულ რიტმში აგრძელებდა შეტევების ორგანიზებას.

დაპირისპირებაში გატანალი ორივე გოლი კი სტანდარტული მდგომარეობიდან გავიდა: 21-ე წუთზე დანიშნული საჯარიმოს შესრულებისას კოშკაძის ჩაწოდებულ ბურთს გურეშიძემ თავი დაუხვედრა და ბოლნისელები დააწინაურა.

ათიოდე წუთის შემდეგ, სტანდარტული მდგომარეობიდან შეძლო გოლის გატანა სამტრედიამაც. ფლანგიდან საჯარიმოში შეჭრილი ბაჩიაშვილი ცდილობდა, პასი თანაგუნდელისთვის მიეცა, თუმცა, ნოზაძეს ხელზე მოხვდა ბურთი და არბიტრმაც თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ მიუთითა. პენალტი ერისთავმა გამოიყენა – 1:1.

ბევრი საინტერესო მომენტის მიუხედავად, ანგარიში მატჩის ბოლომდე აღარ შეცვლილა.

**ჩიხურა-დილა 0:3**

**ივანწმინდა. ცენტრალური**

0:1 კოვტალიუკი (38), 0:2 რიბეირო (52), 0:3 კოვტალიუკი (73)

**ჩიხურა:** მწყერაშვილი, ჩიტეიშვილი, მირცხულავა, მაისაშვილი, მეგრელიშვილი, დობროვოლსკი (იონანიძე 65), ჩიკვაიძე, ლექვთაძე (კახაბრიშვილი 66), ბულრიძე, მარკოზაშვილი, გაბედავა

**დილა:** ბეგაშვილი, კორიფაძე, კვახაძე, ჩადუნელი (გოგიაშვილი 60), კერელეიშვილი (აშორტია 81), რაზმაძე, რაჟამაშვილი, რიბეირო, ნონიკაშვილი, გ.ქავთარაძე, კოვტალიუკი

გორის დილას ლეგიონერების კარგ თამაშს უნდა უმადლოდეს შინ 3 ქულით რომ ბრუნდება.

მიუხედავად გამანადგურებელი ანგარიშისა, ვერ ვიტყვით, რომ საჩხერელი ფეხბურთელები უფუნქციოდ იყვნენ მოედანზე. კონტრშეტევით ცდილობდნენ ფონს გასვლას მასპინძლები. მათ რამდენჯერმე კარგი მომენტიც შექმნეს. განსაკუთრებით, ირაკლი ბულრიძემ, რომელიც ერთ-ერთ ეპიზოდში ახლოს იყო გოლის გატანასთან.

ანგარიში 38-ე წუთზე გაიხსნა. ლეანდრო რიბეირომ გიორგი რაჟამაშვილისგან მიიღო პასი, როგორც ჩვევია ხოლმე, ცენტისკენ შეიწია და დაარტყა. მწყერაშვილმა ბურთის მოგერიება შეძლო, მაგრამ დამატებაზე პირველი მიკოლა კოვტალიუკი აღმოჩნდა, რომელმაც მეკარის მოგერიებული ბურთი თავით გადაგზავნა კარში.

52-ე წუთზე გორელთა ლეგიონერებმა როლები გაცვალეს და ამჯერად საგოლე პასის ავტორად უკრაინელი ფორვარდი მოგვევლინა. ქავთარაძისგან შორეული პასი კოვტალიუკმა კარგად მიიღო და გამჭოლი გადაცემით რიბეირო გაიყვანა მეკარესთან პირისპირ. ამ უკანასკნელმაც შანსი კარგად გამოიყენა და ანგარიში გაზარდა – 0:2.

მესამე გოლი 73-ე წუთზე გავიდა. ჩიხურამ კუთხურიდან მოაწოდა ბურთი და ძალიან ახლოს იყო გოლის გატანასთან, მაგრამ გორელებმა ბურთის გამოტანა შეძლეს და კონტრშეტევა წამოიწყეს. საგოლე კომბინაცია კვლავ ქავთარაძემ დაიწყო, ფლანგზე რიბეიროს გადააწოდა ბურთი, რომელმაც საჯარიმოში შეჭრილი კოვტალიუკი მოძებნა და ანგარიშიც გამანადგურებელი გახდა – 0:3.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საბურთალო | 11 | 9 | 0 | 2 | 24-6 | 27 |
| 2.დინამო | 10 | 7 | 1 | 2 | 21-9 | 22 |
| 3.დილა | 11 | 5 | 5 | 1 | 20-12 | 20 |
| 4.ჩიხურა | 11 | 5 | 4 | 2 | 17-11 | 19 |
| 5.ტორპედო | 11 | 5 | 2 | 4 | 15-11 | 17 |
| 6.რუსთავი | 11 | 4 | 2 | 5 | 10-11 | 14 |
| 7.კოლხეთი | 11 | 2 | 3 | 6 | 11-28 | 9 |
| 8.სამტრედია | 11 | 1 | 5 | 5 | 5-11 | 8 |
| 9.სიონი | 11 | 2 | 2 | 7 | 8-19 | 8 |
| 10.ლოკომოტივი | 10 | 1 | 2 | 7 | 9-22 | 5 |

# რუსთავი მეოთხე ნახევარფინალისტია



**რუსთავი-ბათუმი 78:69**

**(24:12, 25:16, 14:16, 15:25)**

ქვემოქართლური რუსთავი სუპერლიგის ბოლო ნახევარფინალისტია. რამაზ გოგობერიშვილის გაწვრთნილმა რუსთაველებმა მეოთხედფინალური სერიის მე-3, გადამწყვეტ მატჩში ბათუმი 78:69 დაამარცხეს და მიმდინარე სეზონის საუკეთესო ოთხეულში მოხვდნენ.

საბოლოო ანგარიშმა შეცდომაში არ შეგიყვანოთ. რუსთაველებმა პირველი პერიოდი 24:12 რომ მოიგეს, ბოლო წუთამდე მეტოქე 10 ქულაზე ახლოს არ მიუკარებიათ. მასპინძელთა უპირატესობა უმეტესად 16-20 ქულის ფარგლებში მერყეობდა, ერთხანს 23-მდეც ავიდა, ხოლო აჭარლები წინ საერთოდ არ გასულან.

რუსთაველებმა სერიის მესამე, გადამწყვეტი მატჩი ისეთივე შემართებით ჩაატარეს და იოლადაც იმარჯვეს, როგორც პირველი – 82:62 მოგებული მატჩი. ქვემოქართლელები ყველა სათამაშო რგოლში დომინირებდნენ და სტუმრებს გასაქანს არ აძლევდნენ. მხოლოდ 2 კომპონენტის მოყვანა კმარა, რომ რუსთაველების სოლიდური უპირატესობა წარმოვაჩინოთ. მასპინძლებმა 15 სამქულიანი ჩააგდეს, სტუმრებმა – 1. ქვემოქართლელებმა ფარიდან ასხლეტილი ბურთი 50-ჯერ მოხსნეს, აჭარელებმა კი – 37-ჯერ.

რუსთაველთა მწვრთნელი ბოლოს მაინც ანერვიულდა, მაგრამ არა იმიტომ, რომ მის გუნდს წაგება დაემუქრა, არამედ იმის გამო, რომ მისმა ბიჭებმა დასასრულს ბრძოლა შეწყვიტეს და მეტოქემ ბოლო წუთზე სხვაობა 8 ქულამდე შეამცირა. 40 წამში მასპინძლები ამ სხვაობას რომ არ დათმობდნენ, ცხადი იყო და ეს არც მომხდარა. რუსთავმა საბოლოოდ 9 ქულით გაიმარჯვა და მეოთხედფინალური სერია სათავისო ანგარიშით (2:1) დაასრულა.

ქვემოქართლელებს 19 ქულით, 12 მოხსნითა და 4 პასით კრეიგ ოსაიქიუოუენმა ულიდერა, რომელსაც ტრავმა ჰქონდა და, როგორც ჩანს, ფორმაში შევიდა. რუსთაველთა ნომინალურმა ჰოლანდიელმა ცენტრმა 5 სამქულიანი ჩააგდო, რის წინააღმდეგაც ბათუმელებს ეფექტური იარაღი არ აღმოაჩნდათ. 20 ქულა, 8 მოხსნა, 6 პასი და 4 ჩაჭრა მიითვალა ადამ ბლეიზეკმა, ხოლო ტაირელ ნელსონის ანგარიშზე 13 ქულა და ამდენივე მოხსნა დაგროვდა. ბათუმში 14 ქულით ბომბარდირი გახდა ლეონიდ სტეპანიშინი, ხოლო სტეფან ანდრეიევიჩმა სეზონის ბოლო მატჩში 13 ქულა და 10 მოხსნა მიითვალა.

ნახევარფინალურ სერიაში რუსთავი რეგულარული ჩემპიონატის მომგებ ქუთაისს შეხვდება, ხოლო მეორე წყვილი დინამომ და მგზავრებმა შეადგინეს.

# შედეგები

## 12 მაისი

**ფეხბურთი**

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სოსიედადი-ლეგანესი ........................ 3:2
ხირონა-ვალენსია ........................ 0:1
ეიბარი-ლას პალმასი ........................ 1:0
ხეტაფე-ატლეტიკო ........................ 0:1
ალავესი-ბილბაო ........................ 3:1
ბეტისი-სევილია ........................ 2:2
დეპორტივო-ვილიარეალი ........................ 2:4
რეალი-სელტა ........................ 6:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 36 | 27 | 9 | 0 | 94-24 | 90 |
| 2.ატლეტიკო | 37 | 23 | 9 | 5 | 56-20 | 78 |
| 3.რეალი | 37 | 22 | 9 | 6 | 92-42 | 75 |
| 4.ვალენსია | 37 | 21 | 7 | 9 | 63-37 | 70 |
| 5.ვილიარეალი | 37 | 18 | 6 | 13 | 55-48 | 60 |
| 6.ბეტისი | 37 | 18 | 6 | 13 | 58-58 | 60 |
| 7.სევილია | 37 | 16 | 7 | 14 | 48-58 | 55 |
| 8.ხეტაფე | 37 | 14 | 10 | 13 | 41-33 | 52 |
| 9.ეიბარი | 37 | 14 | 8 | 15 | 42-48 | 50 |
| 10.სოსიედადი | 37 | 14 | 7 | 16 | 66-58 | 49 |
| 11.ხირონა | 37 | 13 | 9 | 15 | 48-58 | 48 |
| 12.ალავესი | 37 | 15 | 2 | 20 | 40-49 | 47 |
| 13.სელტა | 37 | 12 | 10 | 15 | 55-58 | 46 |
| 14.ბილბაო | 37 | 10 | 13 | 14 | 41-48 | 43 |
| 15.ესპანიოლი | 36 | 10 | 13 | 13 | 31-41 | 43 |
| 16.ლევანტე | 36 | 10 | 13 | 13 | 37-50 | 43 |
| 17.ლეგანესი | 37 | 11 | 7 | 19 | 31-49 | 40 |
| 18.დეპორტივო | 37 | 6 | 11 | 20 | 37-74 | 29 |
| 19.ლას პალმასი | 37 | 5 | 7 | 25 | 23-72 | 22 |
| 20.მალაგა | 36 | 5 | 5 | 26 | 23-56 | 20 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ვალიადოლიდი-ალბასეტე ........................ 2:2
ხიხონი-ბარსელონა ბ ........................ 3:2
ოსასუნა-ოვიედო ........................ 2:1
რეუსი-ტენერიფე ........................ 1:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ლევერკუზენი-ჰანოვერი ........................ 3:2
ბაიერნი-შტუტგარტი ........................ 1:4
ფრაიბურგი-აუგსბურგი ........................ 2:0
ჰამბურგი-გლადბახი ........................ 2:1
ჰერტა-ლაიფციგი ........................ 2:6
ჰოფენჰაიმი-დორტმუნდი ........................ 3:1
მაინცი-ვერდერი ........................ 1:2
შალკე-აინტრახტი ........................ 1:0
ვოლფსბურგი-კიოლნი ........................ 4:1

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 34 | 27 | 3 | 4 | 92-28 | 84 |
| 2.შალკე | 34 | 18 | 9 | 7 | 53-37 | 63 |
| 3.ჰოფენჰაიმი | 34 | 15 | 10 | 9 | 66-48 | 55 |
| 4დორტმუნდი | 34 | 15 | 10 | 9 | 64-47 | 55 |
| 5.ლევერკუზენი | 34 | 15 | 10 | 9 | 58-44 | 55 |
| 6.ლაიპციგი | 34 | 15 | 8 | 11 | 57-53 | 53 |
| 7.შტუტგარტი | 34 | 15 | 6 | 13 | 36-36 | 51 |
| 8.აინტრახტი | 34 | 14 | 7 | 13 | 45-45 | 49 |
| 9.გლადბახი | 34 | 13 | 8 | 13 | 47-52 | 47 |
| 10.ჰერტა | 34 | 10 | 13 | 11 | 43-46 | 43 |
| 11.ვერდერი | 34 | 10 | 12 | 12 | 37-40 | 42 |
| 12.აუგსბურგი | 34 | 10 | 11 | 13 | 43-46 | 41 |
| 13.ჰანოვერი | 34 | 10 | 9 | 15 | 44-54 | 39 |
| 14.მაინცი | 34 | 9 | 9 | 16 | 38-52 | 36 |
| 15.ფრაიბურგი | 34 | 8 | 12 | 14 | 32-56 | 36 |
| 16.ვოლფზბურგი | 34 | 6 | 15 | 13 | 36-48 | 33 |
| 17.ჰამბურგი | 34 | 8 | 7 | 19 | 29-53 | 31 |
| 18.კიოლნი | 34 | 5 | 7 | 22 | 35-70 | 22 |

**იტალია. სერია ა**

ბენევენტო-ჯენოა ........................ 1:0
ინტერი-სასუოლო ........................ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 36 | 29 | 4 | 3 | 84-23 | 91 |
| 2.ნაპოლი | 36 | 26 | 7 | 3 | 73-28 | 85 |
| 3.რომა | 36 | 22 | 7 | 7 | 60-28 | 73 |
| 4.ლაციო | 36 | 21 | 8 | 7 | 85-44 | 71 |
| 5.ინტერი | 37 | 19 | 12 | 6 | 63-28 | 69 |
| 6.მილანი | 36 | 17 | 9 | 10 | 50-40 | 60 |
| 7.ატალანტა | 36 | 16 | 11 | 9 | 56-37 | 59 |
| 8.ფიორენტინა | 36 | 16 | 9 | 11 | 53-40 | 57 |
| 9.სამპდორია | 36 | 16 | 6 | 14 | 55-55 | 54 |
| 10.ტორინო | 36 | 11 | 15 | 10 | 50-44 | 48 |
| 11.სასუოლო | 37 | 11 | 10 | 16 | 29-58 | 43 |
| 12.ჯენოა | 37 | 11 | 8 | 18 | 32-41 | 41 |
| 13.ბოლონია | 36 | 11 | 6 | 19 | 39-49 | 39 |
| 14.სპალი | 36 | 7 | 14 | 15 | 35-56 | 35 |
| 15.კიევო | 36 | 8 | 10 | 18 | 33-58 | 34 |
| 16.კროტონე | 36 | 9 | 7 | 20 | 37-62 | 34 |
| 17.უდინეზე | 36 | 10 | 4 | 22 | 46-63 | 34 |
| 18.კალიარი | 36 | 9 | 6 | 21 | 31-61 | 33 |
| 19.ვერონა | 36 | 7 | 4 | 25 | 29-75 | 25 |
| 20.ბენევენტო | 37 | 6 | 3 | 28 | 33-83 | 21 |

**იტალია. სერია ბ**

პესკარა-ასკოლი ........................ 0:1
პარმა-ბარი ........................ 1:0
პალერმო-ჩეზენა ........................ 0:0
კარპი-ჩიტადელა ........................ 1:1
ბრეშა-ემპოლი ........................ 0:2
ენტელა-ფროზინონე ........................ 0:1
პერუჯა-ნოვარა ........................ 1:1
ფოჯა-სალერნიტანა ........................ 1:0
პრო ვერჩელი-ტერნანა ........................ 2:1
კრემონეზე-ვენეცია ........................ 5:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ამიენი-მეცი ........................ 2:0
ანჟე-ნანტი ........................ 0:2
ბორდო-ტულუზა ........................ 4:2
ლილი-დიჟონი ........................ 2:1
მონაკო-სტ.ეტიენი ........................ 1:0
მონპელიე-ტრუა ........................ 1:1
ნიცა-კაენი ........................ 4:1
პსჟ-რენი ........................ 0:2
სტრასბური-ლიონი ........................ 3:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 37 | 29 | 5 | 3 | 108-29 | 92 |
| 2.მონაკო | 37 | 23 | 8 | 6 | 82-45 | 77 |
| 3.ლიონი | 37 | 22 | 9 | 6 | 84-41 | 75 |
| 4.მარსელი | 37 | 21 | 11 | 5 | 78-46 | 74 |
| 5.რენი | 37 | 16 | 9 | 12 | 49-43 | 57 |
| 6.ნიცა | 37 | 15 | 9 | 13 | 51-49 | 54 |
| 7.ბორდო | 37 | 15 | 7 | 15 | 49-48 | 52 |
| 8.სტ.ეტიენი | 37 | 14 | 10 | 13 | 42-50 | 52 |
| 9.მონპელიე | 37 | 11 | 17 | 9 | 35-32 | 50 |
| 10.ნანტი | 37 | 13 | 10 | 14 | 35-41 | 49 |
| 11.გენგამი | 37 | 12 | 11 | 14 | 47-57 | 47 |
| 12.ამიენი | 37 | 12 | 9 | 16 | 36-40 | 45 |
| 13.დიჟონი | 37 | 12 | 9 | 16 | 53-72 | 45 |
| 14.ანჟე | 37 | 9 | 14 | 14 | 41-50 | 41 |
| 15.ლილი | 37 | 10 | 8 | 19 | 41-62 | 38 |
| 16.სტრასბური | 37 | 9 | 11 | 17 | 44-66 | 38 |
| 17.კაენი | 37 | 10 | 7 | 20 | 27-52 | 37 |
| 18.ტულუზა | 37 | 8 | 10 | 19 | 36-53 | 34 |
| 19.ტრუა | 37 | 9 | 6 | 22 | 32-56 | 33 |
| 20.მეცი | 37 | 6 | 8 | 23 | 34-72 | 26 |

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

ვიტესი-დენ ჰააგი ........................ 2:1
უტრეხტი-ჰერენვენი ........................ 2:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

გიმარაეში-პორტუ ........................ 0:1
ბოავიშტა-ბელენენსეში ........................ 1:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

შტურმი-ლინცერი ........................ 3:1
ადმირა-მატერსბურგი ........................ 1:1
ვოლფსბერგერი-აუსტრია ........................ 2:0
ალტახი-სტ.პოლტენი ........................ 1:3

**ბელგია. ა დივიზიონი**

ანტვერპენი-სტ.ტრუიდენი ........................ 1:2
ლოკერენი-ბეერსხოტი ........................ 4:2
ეუპენი-ოსტენდე ........................ 0:4

**საბერძნეთი. თასი**

**ფინალი**

აეკი-პაოკი ........................ 0:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაშიმფაშა-გენჩლერი ........................ 3:1
გალათასარაი-მალათია ........................ 2:0
ქონია-გიოზთეფე ........................ 1:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბანიკი-ლიბერეცი ........................ 1:1
ზლინი-სიგმა ........................ 1:4
პლზენი-სლოვაცკო ........................ 1:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ნეცეჩა-არკა ........................ 2:1
პოგონი-ლეხია ........................ 1:1
სანდეცია-კრაკოვია ........................ 0:1
სლასკი-პიასტი ........................ 3:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

სუნდსვალდი-ბრომაპოიკარნა ...... 3:0

**ნორვეგია. ელიტსერია**

სანდერფიორდი-ვალერენგა ........................ 0:1
სტარტი-ბრანი ........................ 0:1

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## ბრმა ლომი ფილიპინებში სასიკვდილოდ გაიმეტეს



ფილიპინების ზოოპარკის დამთვალიერებლები ლომის, სახელად ლიკას მიმართ სასტიკ მოპყრობას უჩივიან. ბრმა ცხოველს სიცოცხლისთვის შეუფერებელ პირობებში ამყოფებენ.

მტაცებლის სავალალო მდგომარეობას ყურადღება ერთ-ერთმა ტურისტმა მიაპყრო, რომელიც ქალაქ მაასინიში მდებარე ზოოპარკს ათვალიერებდა. მისი თქმით, დაბადებით ბრმა ცხოველი „გენეტიკურ გაუგებრობად" გამოაცხადეს და სასიკვდილოდ გაწირეს. ხუთი წლის ლიკა ერთი მეტრის სიგანის ჭუჭყიან ვოლიერში ჰყავთ მოთავსებული.

– მე ვკითხე პერსონალს, რატომ ჰყავდათ ასეთ მდგომარეობაში, მათ კი ამიხსნეს, რომ ის გენეტიკური გაუგებრობა იყო. ის მიტოვებულად და სევდიანად გამოიყურებოდა, – განაცხადა ტურისტმა ქალმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა. ზოოპარკის თანამშრომლებმა მას ასევე განუმარტეს, რომ ცხოველისთვის პირობების გასაუმჯობესებლად ფული არ ჰქონდათ, თუმცა ტურისტმა მათი ეს სიტყვები დამაჯერებლობას მოკლებულად მიიჩნია.

ზოოპარკის წარმომადგენელმა, თავის მხრივ, განაცხადა, რომ ლიკა ჯანმრთელად არის და ნორმალურად იკვებება.

## ჩინელმა შეცდომით ღვეზელებში ძალიან დიდი თანხა გადაიხადა



ჩინელმა გადაწყვიტა, პირი ორთქლზე მომზადებული ღვეზელებით ჩაეტკბარუნებინა და შეცდომით მათში ასი ათას იუანზე მეტი გადაიხადა.

ინციდენტი პროვინცია ჰენანის ქალაქ ჩჟენჩჟოუში მოხდა. სასადილოს კლიენტს, სავარაუდოდ, ღვეზელ ბაოცზის ფასი საკუთარი ელექტროსაფულის პაროლში აერია და მასში 147,3 ათასი იუანი გადაიხადა. ეს შეცდომა შეუმჩნეველი ერთი თვის განმავლობაში რჩებოდა, სანამ კაფეს მფლობელმა ხე ლიუჩჟუმ თვის შემოსავალი არ დაიანგარიშა. მისი თქმით, მათთან კლიენტისგან საჩივარი არ შესულა.

ლიუჩჟუმ ჟურნალისტებს მიმართა თხოვნით, დაეხმარონ დაბნეული კლიენტის პოვნაში, ვინაიდან 140 ათასი იუანი საკმაოდ მსხვილ თანხას წარმოადგენს უმაღლესი კლასის წარმომადგენლებისთვისაც კი, ხოლო კაფეს საშუალო თვიური შემოსავალი მხოლოდ 10 ათასი იუანია. მისი თქმით, ის მომხდარის გამო სინდისის ქენჯნას განიცდის.

ორთქლზე მომზადებული ღვეზელი ბაოცზი ფართოდ არის გავრცელებული ჩინურ სამზარეულოში. მას საფუვრიანი ცომისგან ამზადებენ, ხოლო მის შიგთავსად უმეტესად კომბოსტოშერეული ღორის ხორცის ფარში გამოიყენება.

## დათვმა კაფეს ნაყინით პირი ჩაიტკბარუნა



კანადის ალბერტის პროვინციის ზოოპარკის თანამშრომლებმა დათვი ქალაქში გაასეირნეს და მანქანაში ნაყინით გაუმასპინძლდნენ. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გაავრცელა.

ვიდეორგოლში ნაჩვენებია ერთი წლის დათვი, სახელად ბერკლი, რომელიც ავტომობილში მგზავრის სავარძელში ზის და კოვზიდან ნაყინს შეექცევა, რომელსაც მას გამყიდველი ჯიხურიდან აწვდის. ზოოპარკის თანამშრომლები ირწმუნებიან, რომ ეს ყოველივე გარშემომყოფთათვის საფრთხეს არ წარმოადგენდა, ვინაიდან ისინი კაფეში მის გაღებამდე მივიდნენ, ხოლო თავად ცხოველი ჯაჭვით იყო დაბმული.

ველური ბუნების დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა ზოოპარკს ბრალდება წაუყენეს: ზოოპარკის თანამშრომლებმა ხელისუფლება არ გააფრთხილეს იმის თაობაზე, რომ ცხოველის ქალაქში გამოყვანას აპირებდნენ.

ზოოპარკის დირექტორმა დუგ ბოსმა საკუთარი დანაშაული აღიარა და განაცხადა, რომ მოხარულია იმით, რომ ინდუსტრია ასე მკაცრად რეგულირდება მათ პროვინციაში. თუმცა, იქვე აღნიშნა, რომ დათვის ზოოპარკის ტერიტორიის გარეთ გაყვანაში საშიშს ვერაფერს ხედავს.

## ბებია შვილიშვილის დასჯისთვის ციხეში აღმოჩნდა

ხანდაზმული ამერიკელი ქალბატონი იმის გამო დააპატიმრეს, რომ მან თავის მოზრდილ შვილიშვილს სახეში ფლოსტი სთხლიშა და სამაშველო სამსახურში დარეკა, რათა მათ მისი უმცროსი ნათესავი სახლიდან გაეყვანათ.

ფლორიდის შტატის ქალაქ დეიტონ-ბიჩის პოლიციის განყოფილებაში დაადასტურეს, რომ დაპატიმრებული იყო 95 წლის ჰეტი რეინოლდსი. ქალმა განაცხადა, რომ მან თავის 46 წლის შვილიშვილს იმიტომ გაარტყა, რომ მობეზრდა, მისი ნათესავი მთელი დღე საწოლში რომ კოტრიალობდა და „კონდიციონერის გრილ ჰაერს ისრუტავდა".



როდესაც სამართალდამცავები შემთხვევის ადგილზე მივიდნენ, ქალის შვილიშვილმა განაცხადა, რომ მისთვის ბრალის წაყენება არ სურდა, თუმცა რეინოლდსი მაინც დააკავეს, რისი მიზეზიც შტატის მკაცრი კანონები გახდა, რომლებიც ოჯახურ ძალადობას ეხება.

პოლიციის ოფიცერმა კრეიგ კაპრიმ აღნიშნა, რომ მას ბებია შეეცოდა, მაგრამ ისინი საკუთარ მოვალეობას კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე ასრულებდნენ. მისივე თქმით, რეინოლდსი მეორე დღესვე გაათავისუფლეს ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილით.

## სახლიდან გაქცეული მოზარდი ნიანგს ემსხვერპლა

15 წლის მოზარდის დაღუპვის მიზეზების ხანგრძლივი გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ ის დასავლეთ ავსტრალიაში მდებარე ჭაობებში ნიანგის თავდასხმას ემსხვერპლა.

ინციდენტი ჯერ კიდევ 2013 წლის მარტში მოხდა, თუმცა ამ შემთხვევის დასკვნა მხოლოდ ახლახან გამოქვეყნდა. მოზარდის სხეული, რომელიც მისი მშვილებელი ოჯახიდან გაიქცა, გაუჩინარებიდან მეორე დღეს



აღმოაჩინეს. სამძებრო ოპერაციაში მონაწილეობდნენ პოლიცია, მოხალისეები და რეინჯერები აბორიგენი მოსახლეობიდან.

კვალი იმაზე მეტყველებდა, რომ დაღუპული ჭაობში დიდხანს დადიოდა წრეზე. მას აკლდა ფეხის ნაწილი, ხოლო შორიახლოს იწვა ნიანგი. შვეულმფრენის პილოტმა, რომელიც მოზარდის ძებნაში მონაწილეობდა, ახლომახლო კიდევ ცხრა რეპტილია შენიშნა.

მოზარდი შეზღუდული განვითარების იყო, რაც იმის ბრალი გახლდათ, რომ დედამისი ფეხმძიმობის დროს ალკოჰოლს იღებდა. მოზარდი, რომელიც დეიდასთან ცხოვრობდა, 13 წლის ასაკიდან გამხსნელის ყნოსვას შეეჩვია. ზედამხედველობის ორგანოებმა მოძებნეს ოჯახი, რომლებმაც ის იშვილეს და პირობა დადეს, რომ მას მავნე ჩვევისგან გაათავისუფლებდნენ, მაგრამ ის ოჯახიდან გაიქცა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ჩინელს ფულით სავსე ჩანთა დაუბრუნეს

ჩინეთის პროვინცია ჩჟეცზიანის ქალაქ ხანჩჟოუში პოლიციამ მამაკაცს მის მიერ ბარში დარჩენილი ფულით სავსე ჩანთა დაუბრუნა და რომელიც მან თავის ყოფილ მეგობარ გოგონას მიუტანა, რათა მასთან დაშორებაში ფული გადაეხადა.

ახალგაზრდა მამაკაცი საკმაოდ შეძლებული ოჯახიდან ბარში მივიდა, რათა თავის ყოფილ მეგობარ გოგონას მასთან ურთიერთობის გაწყვეტაზე შეთანხმებოდა. მან განაცხადა, რომ



თან მხოლოდ ორი მილიონი იუანი ჰქონდა, ფულით სავსე ჩანთა დატოვა და წავიდა. გოგონა ასეთმა თანხამ არ დააკმაყოფილა, რადგან რამდენიმე მილიონით მეტის მიღებას იმედოვნებდა. მან ჩანთას ხელი არ ახლო და წავიდა.

– შემდეგ დავურეკე და ვუთხარი, რომ ფულისთვის ხელი არ მიხლია და თავად მისულიყო და აეღო, – განაცხადა გოგონამ.

მეორე დილით ბარის თანამშრომლებმა ფულით სავსე ჩანთა აღმოაჩინეს და პოლიცია გამოიძახეს. სამართალდამცავებმა მისი მფლობელის ვინაობის დადგენა მოახერხეს. ფულის დაბრუნების დროს პოლიციელმა ახალგაზრდა მამაკაცს უთხრა, რომ მომავალში უფრო დაკვირვებული ყოფილიყო ასეთ მსხვილ თანხასთან მიმართებით.

– განა ორი მილიონი მსხვილი თანხაა? – პასუხად დაინტერესდა ახალგაზრდა.

## სკანვორდი



1. აზრი; 2. სარწყავი არხი; 3. ერთიანები კამათლებზე; 4. მავნებელი მწერი; 5. წერილობითი თხოვნა ხელისუფლებისადმი; 6. ორგანიზმში წამლის შპრიცით შეყვანა; 7. .. იოსელიანი; 8. ღამის პეპელა; 9. რადიოაქტიური ქიმიური ელემენტი; 10. ღმერთების დედა ინდუიზმში; 11. აჩრდილი; 12. გივი ბერიკაშვილის სცენური სახე; 13. სატანვარჯიშო იარაღი; 14. ... ფარულავა; 15. მთავარი სისხლძარღვი; 16. ჭია; 17. მაუგლის მეგობარი გველი; 18. ომისშემდგომი ნადავლი; 19. ნებისყოფის პათოლოგიური სისუსტე; 20. პორტუგალიური ღვინო; 21. საზეიმო წვეულება; 22. სითბოს მოყვარული ხე; 23. „კვირის ..." 24. ტყის ვაშლი; 25. პატარა ლირიკული არია; 26. ... ნასტასე; 27. ... მაკფერსონი; 28. საიდუმლო რელიგიური რიტუალი; 29. ამერიკულ-კანადური სამეჯლისო ცეკვა; 30. ...სტრიპი; 31. „... პარი; 32. კანტორა; 33. ბილიარდის ჯოხი.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პორტერი; 2. საკვოიაჟი; 3. ბედეკერი; 4. დამიანე; 5. ეკლერი; 9. რინიტი; 11. ჯანდარა; 12. შატილი; 14. ტრაპერი; 15. ოდინი; 19. ღალია.

**თარაზულად:** 4. დავოსი; 5. ესპანეთი; 6. პეპსი; 7. ომმეტრი; 8. ქვევრი; 10. მენჯი; 13. როტარუ; 15. ირონია; 16. რადა; 17. იედო; 20. პეგასი; 21. პილონი; 22. ვენგერი; 23. იბერია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ქედანი; 2. ფითი; 3. ლაფონტენი; 4. ტანგო; 5. ნეოლითი; 8. ლუსონი; 9. მიკოლოგია; 12. ლეკები; 14. ოქსინო; 16. აიეტი.

**თარაზულად:** 1. ქროლოფილი; 6. ნადირაძე; 7. დვალეთი; 9. მაწონი; 10. სორი; 11. მოზაიკა; 13. ფხოვი; 15. ჩელიტა; 17. დიონისე; 18. ხეტაფე; 19. დისნეი; 20. სინათლე.

## ასტროპროგნოზი 14 მაისისათვის



**ვერძი** – კრიტიკული დღეა. იდეალიზმისადმი სწრაფვა საქმის რეალურ მხარეს ჩრდილავს. არ ენდოთ ცრუ დაპირებებს. **კურო** – ნებისმიერი საქმიანობა დადებითი ემოციებით დაგმუხტავთ. გადაწყვეტილება თამამად მიიღეთ. **ტყუპები** – კეთილისმყოფელი დღეა. ფიზიკური დატვირთვა, ფეხით სიარული ან ბაღში მუშაობა ფსიქოემოციურ მდგომარეობას გამოგიკეთებთ. **კირჩხიბი** – მიმდინარე საქმეები დაამთავრეთ. ოცნებები ნუ გაგიტაცებთ. იყავით რეალისტი. **ლომი** – მიმნდობლობასა და სისულელეს შორის ზღვარი გაავლეთ. იმედი გიცრუვდებათ. **ქალწული** – დაკავდით სპორტით, იზრუნეთ ჯანმრთელობაზე. ოჯახში ვითარება ნორმალიზდება. **სასწორი** – საოჯახო პრობლემები გიგროვდებათ. ეს დღე თქვენგან სიმამაცეს მოითხოვს. **ღრიანკალი** – გათავისუფლდით მავნე ჩვევებისაგან. მისდიეთ ჯანსაღი ცხოვრების წესს. **მშვილდოსანი** – ვარსკვლავები გმფარველობენ. ყოველგვარ საქმეს თავს წარმატებით გაართმევთ, თან მინიმალური ძალისხმევის ხარჯზე. **თხის რქა** – სახიფათო დღეა. ნებისმიერ თქვენს მოქმედებაზე პასუხისმგებლობა დაგეკისრებათ. **მერწყული** – ზნეობრივი პრინციპები ნებისმიერ შემთხვევაში დაიცავით. ყურადღება მიაქციეთ ფინანსებს. **თევზები** – ელოდეთ პროვოკაციასა და აგრესიას არაკეთილმოსურნეების მხრიდან. გონიერება და სიმშვიდე დღის დევიზია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## ბაადურ წულაძე გარდაიცვალა



83 წლის ასაკში მსახიობი ბაადურ წულაძე გარდაიცვალა.

ეს სამწუხარო ინფორმაცია კინოდოკუმენტალისტმა ოლგა ჟღენტმა გაავრცელა:

– ამ დილას შეგვატყობინეს, ბაადურ წულაძე გარდაიცვალა... ბოლოს რომ ვნახე, მძიმე სენისგან დასუსტებულმა, კინოზე ჩამომიგდო საუბარი, თავისი საყვარელი ფილმები გაიხსენა – ფელინი, ბილი უაილდერი და ჯარმუში... მოულოდნელად გახალისდა. კინო უყვარდა ყველაზე მეტად და მშობლიური ბათუმი... და, რა თქმა უნდა, ლედი – მისი ერთადერთი და... ბოლოს მკითხა: შენი ფილმი ხომ არის ინტერნეტშიო? ბადურ, ეს ფილმი მთლიანად შენია, შენ გარეშე არაფერი გამოვიდოდა-მეთქი, – ვუთხარი... ახლა ბათუმში ვარ, წვიმს... ბათუმი ემშვიდობება ბაადურ წულაძეს.

## პეტრე კოლხი: „9 აპრილის მემორიალის თავზე უნიჭო ცეკვა თავისუფლების შეგრძნებაა?!“

რუსთაველის გამზირზე, ყოფილი პარლამენტის შენობის წინ აღმართულ 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალზე აქციის მონაწილე გოგონას ცეკვამ საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია:

პეტრე კოლხი, პოეტი: – სულგაყიდულებო, 9 აპრილის მემორიალის თავზე უნიჭო ცეკვა თავისუფლების შეგრძნებაა?! საკუთარი უწიგნურობის, გაუნათლებლობისა და სიბნელის მონებო, გათავისუფლდით საკუთარი ტყვეობისგან!.. თუ თვლით, რომ ეს დაბოლილი ახალგაზრდობაა ჩვენი ქვეყნის მომავალი. მაშინ ჩვენს ქვეყანას მომავალი არ ჰქონია!



გიორგი კალანდია, ისტორიკოსი: – ზედ 9 აპრილის მონუმენტზე მოცეკვავე ახალგაზრდის გასაგონად – ევროპა მარტო კლუბური ცხოვრება და კაიფი არაა! ევროპა ახალგაზრდებით გადავსებული ბიბლიოთეკები და მუზეუმებიცაა, განათლებული თაობაა, უახლოეს ტექნოლოგიებს არა მარტო დაწაფებული, არამედ მათი შემქმნელი ნიჭიერი ხალხიცაა. ევროპა, პიროვნულ თავისუფლებასთან ერთად, ტრადიციების პატივისცემასაც ნიშნავს. ევროპა ბეთჰოვენია, ლუვრია, შექსპირია, ბითლზებია, მოკლედ, ბევრი კარგი რამეა... ჰო, კიდევ ევროპა ღირსსახსოვარი თარიღებისა და წინაპრების პატივისცემაცაა!

ანუკა მურვანიძე, მხატვარი: – ბარემ წამო, სასაფლაოზე ვიცეკვოთ, ყველაზე წყნარი ტუსოვკაა! ძვლებზე ცეკვა ასწორებს, თან იმ ხალხის ძვლებზე, რომლებიც შენი კეთილდღეობისთვის ჩაიხოცნენ.... ვინმემ მოუყევით ამ გოგოს პატარა ისტორია.

რეზო შატაკიშვილი, რეჟისორი: – აი, ახლა ეს რა დოზანაა? ან სპეცრაზმის იქ შეჭრა რა შოუ იყო და ეს რაღა უბედურებაა, ზედ შეახტე 9 აპრილის მემორიალს და იბუქნაო? თუ ტრაკი გაქვს, ადი და შუშის ბუტკაზე იბუქნავე! თამარ ჭოველიძე შემოგივარდა იმ კლუბში და გამოგაგდო? არ მითხრათ ახლა, არ იციან, რას შეახტნენო...

## ირმა გიგანი: „გვამყოფეთ შესაფერისად! გვასწავლეთ რა! გვამუშავეთ!“

ირმა გიგანი ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება:

– გამარჯობა. მე მქვია ირმა გიგანი. ვარ პიანისტი. 22 წლის. ამ თაობის ერთ-ერთი წევრი, წარმომადგენელი. შევეცდები, ბევრი არ ვწერო, უბრალოდ დავიწყებ. ვინაიდან ვარ მუსიკოსი, ძირითადი აქცენტი, ბუნებრივია, ცოდნიდან გამომდინარე, ამ სფეროზე მექნება, თუმცა ყველას ეხება.



რაღაცები მინდა დაგანახოთ, თუ არ ჩანს... ჩემი ძალიან მაგარი თაობის მუსიკოსები, ნებისმიერი ჟანრის ყველაზე ნიჭიერები, მაგრები, მშრომელები, ჭკვიანები, საინტერესოები, პროფესიაზე სიგიჟემდე შეყვარებულები, მცოდნეები და უბრალოდ ძალიან კარგები აქ იხრჩობიან უმუშევრობის, უფულობის, გაჭირვების, დაუფინანსებლობის, სიღარიბის, დაუფასებლობის გამო.

მსმენელს უყვარს ძალიან, როგორ მსმენელს? მუსიკაზე შეყვარებულებს, პროფესიის ერთგულებს, უმუშევრებს, ძალიან მაგრებს, ნიჭიერებს, მელომანებს, მუსიკოსებს ან არამუსიკოსებს, რომლებსაც თვეში 25 ლარიდან 150 ლარამდე აქვთ ხელფასი, სახლის გარეშე დარჩენილებსაც და, უბრალოდ, ადამიანებს, მოკლედ, ჩვენს მოქალაქეებს. ამ სიყვარულით თანაარსებობენ. ეს დიდი საჩუქარია და ყველაზე დიდი მადლობა მათ.

აბა ახლა მოვიხედოთ... თუ მოახერხეს გასვლა ქვეყნიდან, არაა საჭირო ჩამოთვლა, რამდენმა გაიბრწყინა, ისიც სხვისი დაფინანსებით, რა თქმა უნდა, მაგრამ თუ ვერ... აბა წავიდა „კაფე“, „რესტორნები“, გარეთ დაკვრა და ბოლოს – საააადმეეე დაკვრა. სანამ დაბერდები და მერე რომ დაბერდები 100 ლარი თვეში ხელფასი. წარმოგიდგენიათ რა ხდება თაობაში თუ ვერა? მე მინდა გითხრათ, რომ ფული ემოციური თვალსაზრისით შორს დგას „გაგიჟებული“ მუსიკოსისთვის, ერთგული მუსიკოსისთვის, მაგრამ, იმის გარდა, რომ საარსებოდ აუცილებელია, როცა ნიჭს ეხება საქმე, არ ასვენებს ადამიანს, გადმოფრქვევაზეა, ნიჭია, ხვდებით? და ლოგიკურია, დიდ ნიჭს თუ გასაქანს მისცემ, ანაზღაურებაც მოჰყვება, ადამიანსაც და ქვეყანასაც. მაგას რა სჯობია? ჩვენი ქვეყნისთვის აბა უკეთესი რა არის? ცოდვაა გამოუყენებლობა!!! და ამ თაობაში ეს ნიჭია, დევს ისევე, როგორც სხვა მაგარ თაობებში. ჩვენ გვყვანან გენიოსები წინა თაობაშიც და ახლაც უამრავ სფეროში.

ჩვენს თაობას ნუ მოიხსენიებთ აგდებით! ჩვენ როგორც კი გავდივართ ქვეყნის გარეთ, მერე ჩვენი სახელი გესმით საქართველოში და ჩვენ ვყვირით საქართველოს შესახებ! მე ვუკრავ საქართველო-დან! მე (ჩვენ) ვარ ქართველი და მე ასე მიცნობენ სხვაგან.

მთავრობები, მთავრობები, მთავრობები... გავიგეთ! გვიშველეთ რამე! დაგვეხმარეთ! მთავრობავ, სახელმწიფო! აქ ვართ! გვამყოფეთ შესაფერისად! გვასწავლეთ რა! გვამუშავეთ!

პ.ს. 1.ბარიგობა ძალიან ცუდია, დასაგმობია, მკვლელობაა.

2.ვემხრობი აქციის სულისკვეთებას და შინაარსს! რომელიც არავითარ შემთხვევაში ბარიგების დასაცავად არ იყო.

3. სპეცრაზმის შევარდნა ამ რაოდენობით იყო ერთი დიდი ტყუილი და სპექტაკლი. ცუდი იყო. ბევრი ეძებეთ მკვლელები და მომპარავები მთავრობაში და გააკონტროლეთ ბაზარი, სანამ ეს საწამლავი შემოვა და ჩაიხოცებიან ბავშვები. ნუ შემოგაქვთ ქვეყანაში ეს უბედურება!

და აქვე, სიყვარულით გეპატიჟებით ჩემს სოლოკონცერტზე 22 ივნისს კონსერვატორიის დიდ დარბაზში. მალე დავდებ აფიშას. დიდი მადლობა. მიყვარხართ.

## თეონა კონტრიძე: „ზოგს აღარ უნდა ღვინო-დუდუკი-ქალები და უნდა კლუბი“

თეონა კონტრიძე წერს:

– ეგრეთ წოდებული აბლავების მეტი რა მაქვს ნანახი 90-იან წლებში, კლუბერობის დროს .... საშინელი გრძნობაა... გაიგეთ ერთხელ და სამუდამოდ! ზოგი ერთობა რესტორანში სმით, ხინკლით და ბოზებით, ზოგს აღარ უნდა ღვინო-დუდუკი-ქალები და უნდა კლუბი... სხვა მეთოდი ნარკოდილერების ასაყვანი არის უთვალავი. არ არის საჭირო ბარბაროსობა და ვიკინგობა ამისათვის. მოსკოვმაც კი ჩაიფსა შიშით თბილისის კადრების ხილვის მერე... გული გასკდა!



არ შეიძლება ახალგაზრდებზე სახის ახევა. არ შეიძლება დემოკრატიულ ქვეყანაში ასეთი ხელისუფლების გაგულავება. ეს ენა აღარ მუშაობს. არა! მხოლოდ სიყვარულის ენა. მხოლოდ თავისუფლება. ამინ!

## სოფო ბათილაშვილი: „ყოველდღე მიჭირს სუნთქვა ასეთ საქართველოში“

მუსიკალური პროექტის „მხოლოდ ქართულის“ მონაწილე სოფო ბათილაშვილი ბოლო დღეებში მომხდარ ამბებს აფასებს:



– ყოველდღე მიჭირს სუნთქვა ასეთ საქართველოში. მეტი ჰაერი მჭირდება, იმდენი, ჩემს სილაღეს, სიგიჟესა და სიყვარულს რომ ეყოს. ჩემს, ჩვენს საქართველოში ბევრი ჟანგბადი და პროგრესული ცხოვრების წესი მინდა, გვინდა, გვჭირდება...

ბარიგებს ეგრე არ იჭერენ! ნარკოტიკის არც მომხმარებელი ვარ, არც გამსაღებელი და არც ღამის ცხოვრება მიზიდავს, მაგაში არაა საქმე.

საქმე რაშია – ჩვენი თაობა ძალადობასა და სხვა სიპარპაშეებზე თვალს რომ არ დახუჭავს, მაგაში.

გეყოთ, რაც იცხოვრეთ სიბნელეში, ახლა ჩვენ გვაცადეთ, ვცადოთ განათება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## სამგლოვიარო განცხადებები

მოულოდნელად გარდაიცვალა ნამდვილი კოლხი მამულიშვილი, დიდი **მერაბ კვარაცხელია**. ყველასგან გამორჩეული თავისი ტალანტით, უნიჭიერესი და უკეთილშობილესი, სიცოცხლეშივე განსაკუთრებულად დაფასებული თავისი ღირსეული ცხოვრებით, მუდამ ცდილობდა, სამყარო შეეცვალა უკეთესობისაკენ, სიყვარულსა და სიკეთეს ნერგავდა ყველგან. ამაყი წავიდა იმქვეყნად კიდევ ერთი დიდებული ადამიანი, ჩვენი კუთხის შეუდრეკელი მეციხოვნე, დაუღლელი მკვლევარი, საკუთარ სამშობლოზე თავგანწირვით შეყვარებული კაცი.

მერაბი დააკლდა არა მარტო წალენჯიხას, არამედ სრულიად საქართველოს.

უფალმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი. ამინ!

*ოჯახი*

ვიტალი ქარდავა შვილებით, ლელა, ნათია, თამუნა, ირაკლი, რძალი თამთა კვარაცხელია, სიძეები, მერაბ გაბისონია, დათო მიქავა, ზაზა კვარაცხელია, შვილიშვილები, მარიამი, გიორგი, ნიკოლოზი, ანდრია, ლაზარე, ანასტასია, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ქართველი კაცის ეტალონი

**მერაბ ჟორას ძე კვარაცხელია**

და თანაუგრძნობენ კვარაცხელიების დიდ ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

### კალეიდოსკოპი

## კაცობრიობის უცხოპლანეტელებთან შეთანხმებას ჩავარდნა უწინასწარმეტყველეს

ადამიანური ფაქტორი მნიშვნელოვან და უფრო მეტად ნეგატიურ როლს ითამაშებს ადამიანების უცხოპლანეტელებთან მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარების მცდელობაში, თუ ისინი დედამიწაზე ჩამოსვლას გადაწყვეტენ. ამის შესახებ დაწერა ბიზნესგამომცემელმა, კონსულტანტმა და გეიმერმა იურიკა დუიმოვიჩმა.

მისი აზრით, უცხოპლანეტელების თავდაპირველი არააგრესიული ქცევის შემთხვევაში დედამიწელები მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარებას შეეცდებიან, რათა საფრთხის შესაძლებლობა შეაფასონ. დედამიწელთა წარმომადგენლები – ლინგვისტები, ფსიქოლოგები, ბიოლოგები და სამხედროები – შეეცდებიან, უცხოპლანეტელებთან უშუალო კავშირი დაამყარონ.

დუიმოვიჩის აზრით, ამის პარალელურად, დედამიწელები მალულად დაიწყებენ საჰაერო და სახმელეთო ჯარების მობილიზებასა და მასობრივი განადგურების იარაღის მომზადებას. ის ფიქრობს, რომ უცხოპლანეტელთა სიგნალების არასწორად გაგების ალბათობა ძალიან დიდია, რაც გლობალურ ომამდე მიგვიყვანს.

შეიარაღებული კონფლიქტი მშვიდობიან მოსახლეობაში ქაოსს გამოიწვევს და დანაშაულებსა და მაროდიორობას გაააქტიურებს. გარდა ამისა, ზოგიერთი ქვეყნის ხელისუფლება ომს უფრო სუსტ მეზობელ ქვეყნებზე შეტევისთვის გამოიყენებს, ისარგებლებს რა იმით, რომ ისინი მთელ თავიანთ ძალებს უცხოპლანეტელებთან ბრძოლაში ჩართავენ.



შესაძლოა უცხოპლანეტელები ჩაერიონ ამ კონფლიქტებში, ფარულად დაეხმარონ უფრო სუსტ სახელმწიფოებს, შემდეგ კი გამარჯვებულების მოკავშირეებად მოგვევლინებიან. საბოლოოდ ადამიანები, დიუმოვიჩის აზრით, იძულებულნი გახდებიან, გამოიყენონ ბირთვული იარაღი, რის შემდეგაც ან მოლაპარაკებები აღარ იქნება საჭირო, ან ყველაფერი დამარცხებით დასრულდება.

## პენსიონერს უზარმაზარი კაქტუსი დაეცა

საფრანგეთის ქალაქ ლე-კანის მცხოვრები ხანდაზმული ქალბატონი უზარმაზარი კაქტუსის დაცემის შედეგად მიღებული ჭრილობებისგან გარდაიცვალა.

ინციდენტი მონაკოში მოხდა, სადაც 92 წლის ქალბატონი დასასვენებლად იყო ჩასული. ქუჩაში სეირნობის დროს დიდი კიბის მახლობლად ფრანგ პენსიონერს უზარმაზარი კაქტუსი დაეცა. ის დაუყოვნებლივ უახლოეს საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მასთან ერთად კიდევ რამდენიმე ადამიანი იმყოფებოდა: 60 წლის მამაკაცი, რომელმაც ფეხის ტრავმა მიიღო, კიდევ ერთი 50 წლის ქალი ზურგის არეში ტკივილებს უჩიოდა.

ხანდაზმული ქალის გარდაცვალების თაობაზე ფეისბუქში ინფორმაცია, რომელიც უსაფრთხოების დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა დაადასტურეს, მისმა შვილიშვილმა გაავრცელა.

ინციდენტთან დაკავშირებით დაიწყო გამოძიება, თუმცა ამ დროისთვის უზარმაზარი კაქტუსის წაქცევის მიზეზი ჯერჯერობით დაუდგენელია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

14 მაისისთვის

აშშ დოლარი — 2.4496

ევრო — 2.9253

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3258

100 რუსული რუბლი — 3.9741

## ამინდის პროგნოზი 14 მაისისთვის





## 3 მაისიდან

### „50 ცნობილი ქართველი ქალის 300 რეცეპტი“




წიგნი ა4 ფორმატისაა, აქვს მაგარი ყდა, დაბეჭდილია ცარცის ქაღალდზე და მთლიანად ფერადია.

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

## 15 მაისიდან




სერია ნამდვილი დეტექტივი

დეშილ ჰემეთი

### მალტის შევარდენი

**მალტელ რაინდთა ორდენის მიერ ესპანეთის იმპერატორისთვის ნაჩუქარი უძვირფასესი განძი, ბრილიანტებით მოოჭვილი „შავი შევარდენი“, უამრავ პატრონს გამოიცვლის, მე-20 საუკუნის ამერიკაში აღმოჩნდება და თავის გზაზე სისხლიან ნაკვალევს დატოვებს.**

**ბოლომდე არავის სჯერა მისი არსებობის, მაგრამ ადამიანები მაინც დაუნდობლად ხოცავენ ერთმანეთს ამ ზღაპრული ნივთის ხელში ჩასაგდებად...**

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**


## სხეულზე ლაქის მქონე „ქიმერა“ მოდელი გახდა



ამერიკელი გოგონა, ტეილორ მაჰლი, მოდელი გახდა, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ცხოვრება მუცელზე არსებული უზარმაზარი ლაქის გამო თავს უხერხულად გრძნობდა.

მაჰლის მუცლის მარჯვენა ნაწილი დაბადებიდანვე უფრო მუქი ფერის ჰქონდა, ვიდრე მარცხენა, ასევე გოგონა იტანჯებოდა იმუნიტეტთან წარმოქმნილი მრავალრიცხოვანი პრობლემით. ის იძულებული იყო, სხეულზე ამ ლაქის გამო მხოლოდ ისეთი სამოსი ეტარებინა, რომელიც ტანს მთლიანად დაუფარავდა. ერთხელ ლაქის ლაზერის დახმარებით მოშორებაც კი ცადა, მაგრამ ტკივილს ვერ გაუძლო და ამ იდეაზე უარი განაცხადა.

უკვე ასაკში შესულ გოგონას ექიმებმა ქიმერიზმი დაუდგინეს — უიშვიათესი გენეტიკური მდგომარეობა, როდესაც ადამიანი საკუთარ თავში დნმ-ს ორ ნაკრებს შეითავსებს. ის დედის მუცელში ემბრიონის განვითარების პროცესში ერთი ტყუპისცალის მიერ მეორის შეერთებისა და გადაყლაპვის შედეგად ვითარდება. მაჰლის დედამ სახლის პირობებში იმშობიარა და არც ექოსკოპიაზე გაუვლია, ამიტომ არ იცოდა, რომ თავდაპირველად ტყუპებზე იყო ფეხმძიმედ.

მას შემდეგ, რაც გოგონამ საკუთარი დიაგნოზის შესახებ შეიტყო, სხეულზე ლაქის დაფარვას თავი დაანება, ვინაიდან სურდა, ქიმერიზმის შესახებ რაც შეიძლება მეტ ადამიანს სცოდნოდა.

— ადრე ფოტოგრაფებს ვთხოვდი, სურათის დამუშავებისას ჩემი ლაქა მოეშორებინათ, მაგრამ ახლა თავს უფრო დამაჯერებლად ვგრძნობ. მინდა, ყველამ იცოდეს, რომ არ აქვს მნიშვნელობა ისეთივე ხარ თუ არა, როგორრებიც სხვა დანარჩენები არიან. ამ სამყაროში ადგილი ყველასთვის მოიძებნება, — განაცხადა მაჰლმა.

## იუმორი...



პატრული მანქანას აჩერებს. პოლიციელი მკაცრი გამომეტყველებით მიდის მძღოლთან და ეკითხება:

— საგზაო ნიშანი დაინახე?

— დიახ, დავინახე.

პოლიციელს სახე გაებადრა და ეუბნება:

— ჩემმა შვილმა დახატა...

●●●

ამერიკელი რუსს ეუბნება:

— ჩვენთან ამერიკაში არსებობს გზები, რომლებიც გააკეთეს, მაგრამ მათი რუკაზე აღნიშვნა დაავიწყდათ.

— ეგ რა არის, — პასუხობს რუსი, — ჩვენთან არსებობს გზები, რომლებიც რუკაზე აღნიშნულია, მაგრამ მათი გაყვანა დაავიწყდათ.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

— ჩემთვის ავტორიტეტს ყოველთვის მამაჩემის შავი ქამარი წარმოადგენდა!

— კარატეში?

— არა, უკანალზე!

●●●

ბავშვმა ბებიისგან დაბადების დღეზე საჩუქარი მიიღო, ბანდეროლის გახსნის შემდეგ შიგნით წყლის სატყორცნი პისტოლეტი აღმოაჩინა და გახარებული გავარდა სააბაზანოში მისი წყლით ასავსებად. ბავშვის დედა საკუთარი დედის ტელეფონის ნომერს კრეფს და ეუბნება:

— დედა, გახსოვს, ბავშვობაში გაგიჟებამდე რომ მიმყავდი ჩემი წყლის პისტოლეტით?

— მახსოვს, შვილო, ძალიან კარგად მახსოვს!!!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— გუშინ მკითხავთან ვიყავი, 20 ლარი გამომართვა და მითხრა, რომ ოჯახში სკანდალი მელოდა.

— მერე?

— მივედი სახლში და სიდედრს ვაგინე.

— რატომ?

— აბა ოც ლარს ტყუილად ხომ არ გადავყრიდი...

●●●

მამაკაცი გოგონას ეკითხება:

— გოგონი, რატომ ეწევი სიგარეტს? არ გაგიგია, რომ ერთი წვეთი ნიკოტინი ცხენს კლავს?

— მინდა, საკუთარ თავში ცხენი მოვკლა!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით




## თორნიკე შენგელია ევროლიგის ხუთეულში მოხვდა

თორნიკე შენგელია ევროპის ყველაზე პრესტიჟული და წარმომადგენლობითი საკლუბო ტურნირის სიმბოლურ ხუთეულში მოხვდა. ბასკონიის ქართველი ფორვარდი 2017-18 წლების სეზონის საუკეთესო ფორვარდად დასახელდა. ევროლიგამ ყველა პოზიციაზე სეზონის საუკეთესოები გამოარჩია და რჩეული ხუთეული ასე გამოიყურება:



ნიკ კალატესი (პანათინაიკოსი), ნანდო დე კოლო (ცსკა), ლუკა დონჩიჩი (რეალი), თორნიკე შენგელია (ბასკონია), იან ვესელი (ფენერბაჰჩე).

შენგელია ევროლიგაში საშუალოდ 13.7 ქულას აგროვებდა, რაც ამ ტურნირის მონაწილე ფორვარდებსა და ცენტრებს შორის საუკეთესო შედეგია. შენგელიას შანსი აქვს, ევროლიგის საუკეთესო მოთამაშედაც დასახელდეს. გულშემატკივართა გამოკითხვასთან ერთად საუკეთესოს ჟურნალისტები და მწვრთნელების ხმები გამოავლენენ.

შეგახსენებთ, ევროლიგის „ოთხთა ფინალი“ ბელგრადში 18-20 მაისს ჩატარდება. ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან: რეალი-ცსკა, ფენერბაჰჩე-ჟალგირისი.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## ძაღლმა პატრონს პისტოლეტი ესროლა



ამერიკის აიოვას შტატის ქალაქ ფორტდოჯში ძაღლმა თავის პატრონს პისტოლეტიდან ესროლა.

51 წლის რიჩარდ რემი ამტკიცებს, რომ ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც ის თავის ძაღლს დივანზე ეთამაშებოდა. მან მის მუხლებზე მჯდომი ძაღლი ძირს ჩააგდო, მაგრამ ის ისევ მუხლებზე შეახტა. ამ დროს პისტოლეტის ხმა გაისმა, რომელიც მამაკაცს ქამარზე ეკიდა. რემი ვარაუდობს, რომ ძაღლმა შემთხვევით გახსნა იარაღის დამცველი, შემდეგ კი თათი ჩახმახს გამოსდო.

მამაკაცს ტყვია ფეხში მოხვდა. საბედნიეროდ, ჭრილობა საშიში არ გამოდგა. რემის თქმით, ძაღლს შეეშინდა, მის უკან დაწვა და ყმუილი დაიწყო, ვინაიდან თავს დამნაშავედ გრძნობდა. მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს და იმავე დღეს სახლში გაწერეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მეხანძრემ შეყვარებულს ხელი სახანძრო მილით სთხოვა



ამერიკის ქალაქ ფეიეტვილში, რომელიც ჩრდილოეთ კაროლინის შტატში მდებარეობს, სახანძრო გუნდის წევრმა თავის შეყვარებულს ხელი 30 მეტრი სიგრძის სახანძრო მილის დახმარებით სთხოვა.

ეშტონ ჰენვეიმ ლორენ ვუდი, რომელსაც 2012 წლიდან ხვდებოდა, დაითანხმა, რომ მასთან ერთად მის სამსახურში წასულიყო და ფოტოსესია სახანძრო მანქანაზე მოეწყოთ. როდესაც ისინი მანქანის სახურავზე აძვრნენ, მეორე მანქანა გვერდით გაიყვანეს და გამოჩნდა მის ქვეშ დადებული სახანძრო მილი, რომლითაც დაწერილი იყო სიტყვები: „ცოლად გამომყვები?“. ამ დროს ჰენვეიმ მუხლებზე დაიჩოქა და გოგონას ჯიბიდან ამოღებული ნიშნობის ბეჭედი გაუწოდა. გოგონამ თანხმობით უპასუხა.

მეხანძრის თქმით, მას თავდაპირველად სხვა რამ ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ მასზე უარის თქმა დიდი სირთულის გამო მოუხდა, თუმცა არ დაუზუსტებია, რაში მდგომარეობდა მისი თავდაპირველი გეგმა. ჰენვეის თქმით, მას საიზოლაციო ლენტის გამოყენება დასჭირდა, რათა მილისთვის ასოების ფორმა მიეცა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 5. ქიმიური ელემენტი; 7. ძველი, ძველებური; 8. მეგრული საჭმელი; 10. გუთნის ნაწილი; 12. წვრილი ღვედი; 13. ინგლისური ვერცხლის ფული; 14. მაღალხარისხოვანი თხის ტყავი; 18. „თეთრი ოქრო“; 20. აღლუმი; 23. ხელოვნების დარგი; 24. პატარა იალქნიანი გემი; 25. აზერბაიჯანული „მწვადი“; 26. წყლის გასაშვებ-ჩამკეტი მოწყობილობა; 27. რისამე ზუსტი ნიმუში.

**შვეულად:** 1. უეცარი ელდა; 2. ფხიანი თევზი; 3. ქათმის ხმიანობა; 4. საგნის დასაცავად მის ფორმაზე შეკერილი ჩამოსაცმელი ქსოვილი; 6. ცხენის, სახედრის ასაკიდი ტვირთი; 9. აზელილი კარტოფილი; 11. სიბრტყის პერპენდიკულარული სწორი ხაზი; 15. ამერიკელთა მკვიდრი მოსახლეობის საერთო სახელი; 16. ფიცრის დასაკეცი ფანჯრის საფარი; 17. ჭრილობის მონარჩენი ზოლი სხეულზე; 19. კეთილსურნელება; 21. აგურის ფორმით დაპრესილი რამე მასალა; 22. რბილის საპირისპირო.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

